საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობით დასრულდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ საკუთარი სიმბოლოების (დროშა და გერბი) შექმნისა და დამტკიცების რთული პროცესი. შედეგად საქართველოს ყველა თვითმმართველი ერთეული აღჭურვილია მისი ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დატვირთვის მატარებელი სიმბოლოებით. აღნიშნული პროცესი ცხადია, არ წარმართულა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, რომელიც 1989 წლიდან ფლობს გერბს და დროშას.

დამოუკიდებლობის აღდგენასა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან ერთად განვითარდა სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი სფერო ჰერალდიკა. აღდგა წარსული ტრადიციები და შესაბამისობაში მოვიდა თანამედროვე ჰერალდიკურ ნორმებთან. ამასთან, გამოვლინდა რომ საბჭოთა პერიოდში მიღებული თბილისის გერბი და დროშა, მიუხედავად მისი მხატვრული ღირებულებისა, შეუსაბამობაში მოდის როგორც ქალაქის ჰერალდიკურ ტრადიციასთან, ასევე მსოფლიოში დამკვიდრებულ ჰერალდიკურ და ვექსილოლოგიურ სტანდარტებთან.

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ მოწყობილი კონფერენცია მიეძღვნა თბილისის არსებული სიმბოლიკის ანალიზს – რა ჰერალდიკურ ტრადიციებს თუ ლეგენდებს ემყარება ისინი, რა ადგილი უკავია თანამედროვე საქალაქო ჰერალდიკასა და ვექსილოლოგიაში და რა მიმართულებით შეიძლება წარიმართოს მომავალში მუშაობა თბილისის ახალი სიმბოლოების შესაქმნელად.

სარჩევი

მირიან კიკნაძე
„ქ. თბილისის მოქმედი სიმბოლიკის ანალიზი“ 4

გიორგი ლობჟანიძე
„თბილისი IV-XVIII სს. ევროპული რუკების მიხედვით“ 6

ნიკო ჯავახიშვილი
„თბილისის დასახელება ქართულ წყაროებში (XVIII საუკუნე)“ 8

ირაკლი ფაღავა
„XVII-XIX სს. თბილისის სპილენძის მონეტების იკონოგრაფიის ჰერალდიკური ასპექტები“ 10

ზაქარია კიკნაძე
„თბილისის ჰერალდიკური სიმბოლოების ისტორია“ 13

თორნიკე ასათიანი
„თბილისის დაარსებაზე ლეგენდის წარმომავლობა“ 16

მამუკა გონგაძე
„დედაქალაქების ჰერალდიკური სიმბოლოები და მათი გამოსახვა“ 18

დავით ჩხეიძე
„თბილისის დაძმობილებული ქალაქების სიმბოლიკა“ 20

ჯაბა სამუშია
„თვითმმართველობა და ჰუმანიტარული კვლევები“ 23

ლია ჯახველაძე
„თბილისის სიმბოლიკის შესახებ“ 25

თბილისთან დაძმობილებული ქალაქები 27

ზოგადი ჰერალდიკა 32

საქალაქო სიმბოლიკა და ატრიბუტიკა 33

დღის წესრიგი 34

მონაწილეები 35

ქალაქ თბილისის მოქმედი სიმბოლიკის ანალიზი



ქალაქ თბილისის მოქმედი დროშა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სიმბოლოები (გერბი და დროშა) შექმნილია გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, გამოჩენილი მხატვრის ემირ ბურჯანაძის მიერ და განახლებულია 2002 წელს. ყველა მხატვრული ღირსების მიუხედავად, არც გერბი და არც დროშა არ აკმაყოფილებს ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის თანამედროვე სტანდარტებს.

დღეს მოქმედი გერბი რომელიც თვისობრივად ემბლემას წარმოადგენს სათანადო საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ნების შემთხვევაში, მისი ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, დარჩეს ქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოდ, მაგრამ არა გერბად.

ქალაქ თბილისის დროშის შესახებ დებულების პირველი მუხლის თანახმად: ქალაქ თბილისის დროშა არის 1:2 სწორკუთხედის ფორმის, თეთრ ფერზე მკვეთრი ურთიერთგადამკვეთი ფართო, მუქი ცისფერი და შედარებით ვიწრო ოქროსფერი ზოლებით. გადაკვეთის ადგილი აქცენტირებულია ქალაქ თბილისის გერბის გრაფიკული გამოსახულებით მუქ წითელ ფონზე, რომლის ირგვლივ შვიდი ოქროსფერი, შვიდქიმიანი ვარსკვლავია განლაგებული.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის დროშა არღვევს ჰერალდიკის და ვექსილოლოგიის სტანდარტებს და ასევე სრულიად უცხოა დამკვიდრებული ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის ქართული ტრადიციისთვის, კერძოდ:

- საქართველოში გამოიყენება დროშის სტანდარტი მასშტაბით 2:3 და არა 1:2 (რომელიც საბჭოთა დროს იყო მიღებული). დღეს საქართველოს სახელმწიფო დროშა და ყველა მუნიციპალიტეტის დროშა არის პროპორციით 2:3.
- თეთრ ფერზე (ფონზე) მკვეთრი ურთიერთგადამკვეთი ფართო, მუქი ცისფერი ზოლები არის უცხო ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტრადიცია, ხოლო თეთრის (ვერცხლის) გამიჯვნა მუქი ცისფერისგან შედარებით ვიწრო ოქროსფერი ზოლებით დაუშვებელია; მეტალი – თეთრი (ვერცხლი) – არ შეიძლება, შეხებაში მოდიოდეს მეტალთან – ყვითელთან (ოქროსთან).
- არ არის მიზანშეწონილი ემბლემის პირდაპირ დატანა დროშაზე.
- საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებულია, რომ ტერიტორიულ-სამოქალაქო სიმბოლოებში დროშა შინაარსობრივად გერბიდან გამომდინარეობს.



აგრეთვე, ქალაქ თბილისის დროშის შესახებ დებულების მეორე მუხლის თანახმად: „ზოლთა ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება სიმბოლურია".

თეთრ ფერზე (ფონზე) ურთიერთგადამკვეთი ფართო მუქი ცისფერი და შედარებით ვიწრო ოქროსფერი ზოლები ქმნის ლათინურ ჯვარს, რაც უცხოა ჰერალდიკის ქართული ტრადიციისთვის.

ქალაქ თბილისის დროშის შესახებ დებულების მესამე მუხლის თანახმად, თბილისის დროშა ოთხფეროვანია: თეთრი, მუქი ცისფერი, ოქროსფერი და მუქი წითელი, ხოლო შესრულებისთვის იგულისხმება სამი ფერი, თეთრ ფონზე.

არ არის მიზანშეწონილი ერთ დროშაზე ოთხი სხვადასხვა ფერის (თეთრის, მუქი ცისფერის, ოქროსფრისა და მუქი წითელის) გამოყენება.

ქალაქ თბილისის მოქმედი გერბი

ქალაქ თბილისის გერბის შესახებ დებულების პირველი მუხლის თანახმად თბილისის გერბი, როგორც ქართული ფარი, მრგვალი ფორმის, დამწერლობით შექმნილი კომპოზიციაა, ასომთავრული „თ“ ასონიშნის გრაფირებით აგებული ხოხბისა და მიმინოს განზოგადებული მხატვრული ფორმა, სახელდების ასოთა თანმიმდევრობა, ერთ მთლიან სიმბოლოდ აღიქმება და გამოხატავს დედაქალაქის ლეგენდის არსს. გერბის ზემო ნახევარსფეროს კიდეზე განლაგებულია შვიდი შვიდქიმიანი ვარსკვლავი. ძირითად გამოსახულებას ეხვევა მუხის რტო – მარადიულობისა და ძლიერების სიმბოლო, რომლის ძირში იქმნება ჯვრისეული ტიხარი, სადაც ასომთავრულად (მრგვლოვანი) და ნუსხურად ჩაწერილია „თბილისი“.

წარმოდგენილი სიმბოლო ჰერალდიკის კანონებით არ არის გერბი, ვინაიდან დარღვეულია გერბისთვის დამახასიათებელი ფერების გამო-

ყენების კანონიკა, კერძოდ:

• მეტალი (ოქრო) – მთავარი საგერბე ფიგურა – ასომთავრული „თ“ ასო-ნიშნის გრაფირებით აგებული ხოხბისა და მიმინოს განზოგადებული მხატვრული ფორმა – შეხებაშია მეტალთან (ოქროს) – მუხის რტოსა და ფარად ნაგულისხმებ წრესთან.

• ფარი არ არის მკაცრად გამიჯნული ასომთავრული „თ“ ასო-ნიშნის გრაფირებით აგებული ხოხბისა და მიმინოს განზოგადებული მხატვრული ფორმისგან.

• მიზანშეწონილი არ არის მთავარი საგერბე ფიგურის ფორმის შექმნა ასო-ნიშნების გამოყენებით. კერძოდ, ქართული ასომთავრული ან

ბანის „თ“ ასო-ნიშნის გრაფირებით.

• არ არის მიზანშეწონილი მთავარი საგერბე ერთი ფიგურის ფორმის შინაარსობრივად ამდენად გადატვირთვა (ასო-ნი შანი, ხოხობი, მიმინო, წყალი, წარწერა...) სიმბოლოზე არ არის გამოყოფილი სადევიზე არე.

• გერბის ღერძულ დაბოლოებას წარმოადგენს წყლის თემა. წყალი ჰერალდიკაში სხვა სიმბოლოებით გამოისახება.

მირიან კიკნაძე
მხატვარი, ჰერალდიკის სპეციალისტი

თბილისი IV-XVIII სს. ევროპული რუკების მიხედვით

წერილობით წყაროებში, თბილისი, პირველად ნახსენებია „მოქცევაი ქართლისაიში“, მე-4 საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით. თბილისი ასევე ნახსენებია მე-6 საუკუნის წერილობით ძეგლში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. მე-6 საუკუნიდან განვითარებულ შუა საუკუნეებამდე თბილისი ნახსენებია არაერთ ქართულ და ბიზანტიურ წერილობით წყაროში. შუა საუკუნეების ქართული ქრონიკა „ქართლის ცხოვრება“, პატარა გამაგრებულ ადგილზე ქალაქის აშენებას უკავშირებს ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალს. იგივე წყარო, თბილისში ქართლის დედაქალაქის გადმოტანას უკავშირებს ვახტანგ გორგასლის მემკვიდრე დაჩი უჯარმელს.

თბილისის ყველაზე ადრეული კარტოგრაფიული ხსენება უკავშირდება ე.წ. პეიტინგერის რუკას, ანუ ტაბულას (Tabula Peutingeriana). მიჩნეულია, რომ ის შექმნილია მე-13 საუკუნეში და წარმოადგენს რომის იმპერიის მე-4 ან მე-5 საუკუნის სავაჭრო მარშრუტების რუკის ასლს. არსებობს ვარაუდი, რომ ის ეფუძნება ბერძენი კოსმოგრაფის – აგრიპას მიერ შექმნილ რუკას, რომელიც მოღვაწეობდა იმპერატორ ავგუსტუსის დროს (27 BC - AD 14). რუკის სახელი უკავშირდება მის მფლობელს – კონრად პეიტინგერს (Konrad Peutinger), რომელიც მოღვაწეობდა მე-16 საუკუნეში. მე-13 საუკუნის ავტორად, ანუ რუკის გადამწერად მიიჩნევენ ვინმე კასტორიუსს (Castorius). პეიტინგერის ტაბულაზე თბილისი დატანილია, როგორც „Philado“.

მისი იდენტიფიკაცია სარწმუნოა ლოკალიზაციის გამო – მდებარეობს იბერიის (Hiberia) და ალბანეთის (Albania) არეალში და სავაჭრო გზით უკავშირდება სომხეთის ანტიკურ ქალაქ არტაშატს (Artaxata). აღსანიშნავია, რომ უფრო ადრეულ, ე.წ. პტოლემეს



ანჯელინო დულჩერტის რუკა, 1339 წ.

მარტინ ვალდსმიულერის რუკა, 1516 წ.

რუკებზე თბილისი დატანილი არ არის და იბერიის მთავარ ქალაქად წარმოდგენილია არმაზციხე (Harmozica, Armactica), (პტოლემეს რუკები არ შემონახულა, არსებობს მისი გვიანდელი რეკონსტრუქციები, რომლებიც წერილობით წყაროებს ეფუძნება).

პეიტინგერის ტაბულის შემდეგ მე-14 საუკუნემდე შექმნილ და დღემდე შემორჩენილ ევროპულ რუკებზე თბილისი დატანილი არ არის. ეს არ არის გასაკვირი, რადგან აღნიშნული პერიოდის ევროპული რუკები იყო მეტად არაზუსტი და მხოლოდ წმინდა და მითიურ ადგილებზე ორიენტირებული. მხოლოდ მე-13 საუკუნიდან დაიწყეს ევროპელმა კარტოგრაფებმა მეტ-ნაკლებად ზუსტი რუკების – პორტოლანების შედგენა, რომლებიც იქმნებოდა ნაოსნობის საჭიროებიდან გამომდინარე და სანავიგაციო მიზნებისთვის. ამ რუკების თავისებურება ის არის, რომ ისინი მეტწილად ორიენტირებული იყო ზღვისპირა რეგიონებსა და დასახლებულ პუნქტებზე.

პორტოლანებზე თბილისი პირველად გვხვდება ანჯელინო დულჩერტის (Angelino Dulcert) რუკაზე, რომელიც თარიღდება 1339 წლით. რუკა ასახავს საქართველოს მთელ ტერიტორიას (Georgiania) და თბილისს, რომელიც აქ დატანილია, როგორც თიფილის. ქალაქი აღნიშნულია ციხე-სიმაგრის პირობითი ნიშნით, რომლის თავზეც აღმართულია ხუთჯვრიანი დროშა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო (Georgia), როგორც გეოპოლიტიკური სუბიექტი, პირველად დატანილია პიეტრო ვესკონტეს (Pietro Vesconte) და მარინო სანუდოს (Marino Sanudo) რუკაზე, რომელიც თარიღდება 1321 წლით.

პორტოლანების კატეგორიიდან ასევე აღსანიშნავია დომენიკო და ფრანჩესკო პიციგანოების (Domenico and Francesco Pizzigano) 1367 წლის რუკა. დულჩერტის რუკის მსგავსად, თბილისი აქ აღნიშნულია ციხე-სიმაგრის პირობითი ნიშნით,

რომლის თავზეც აღმართულია ხუთჯვრიანი დროშა. თბილისი დატანილია, როგორც ქალაქი ტფილისი – „სივიტას ტიფილის“ (civitas Tiflis). მის მიმდებარედ გაკეთებულია საქართველოს აღმნიშვნელი წარწერა – Georgiania.

შუა საუკუნეების კარტოგრაფიის გამორჩეული ნიმუშია 1450 წლის ფრა მაუროს (Fra Mauro) რუკა. აღნიშნულ რუკაზე დატანილია საქართველო (Gorgania) და თბილისი (Tiphilis). ამავე პერიოდიდან აღსანიშნავია მარტინ ვალდსმიულერის (Martin Waldseemüller) 1516 წლის რუკა, რომელზეც დატანილია თბილისი (Triphelis) და საქართველოს სამეფო (Georgia Regnu).

მე-15 საუკუნის შუა ხანებში წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ რუკები უფრო ხელმისაწვდომი გახადა და მათი შედგენა მომგებიან საქმედ გადაიქცა. მე-15-16 საუკუნეების ნაბეჭდი რუკები, ძირითადად, პტოლემეს „გეოგრაფიაზეა“ დაფუძნებული და შესაბამისად, თბილისი დატანილი არ არის. თუმცა მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან კარტოგრაფები უკვე აქტიურად ცდილობდნენ, პტოლემეს ცნობები თანამედროვე ცნობებით გაემდიდრებინათ. ერთ-ერთი ასეთი რუკაა ჯაკომო (jakopo) გასტალდის (Jacopo (Jacomo) Gastaldi) 1548 წლის რუკა, რომელზეც თბილისი დატანილია, როგორც Zefili, ხოლო საქართველო აღნიშნულია, როგორც Giorgiania.

მე-17 საუკუნის რუკებიდან კარტოგრაფიული სიზუსტით და დეტალიზაციით განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკოლა სანსონის (Nicolas Sanson) 1652 წლის რუკა „Turkomanie, Georgie, Comanie“. ნიკოლა სანსონი იყო მე-17 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი კარტოგრაფი. მისმა კარტოგრაფიულმა მემკვიდრეობამ გავლენა მოახდინა ეპოქის სხვა კარტოგრაფებზეც, მაგალითად, პიერ დიუვალზე (Pierre Du Val), რომლის 1663 წლის რუკა საქართველო „Giorgie“ იმეორებს სანსონის რუკის როგორც დადებით მხარეებს, ასევე ხარვეზებს. სანსონის აღნიშნულ რუკაზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის სივრცეს მთლიანად ფარავს წარწერა „საქართველო“ (GEORGIE), რომელსაც მართობულად კვეთს წარწერა „გურჯისტანი“ (Gurgistan). თბილისის (Teflis) მიმდებარედ დატანილია წარწერა „ქართველები“ (Georgiens).

ჯაკომო გასტალდის რუკა, 1548 წ.

ჟილ რობერტ დე ვოგონდის რუკა, 1748 წ.

მე-18 საუკუნიდან ევროპული კარტოგრაფია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის – იხვეწება გეოგრაფიული კოორდინატების სისტემა, მცირდება უცნობი ტერიტორიების არეალი, იზრდება ტოპოგრაფიული სიზუსტე, უფრო თვალსაჩინო ხდება რუკების დიფერენცირება თანამედროვე და ისტორიულ რუკებად. ევროპულ კარტოგრაფიაში განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის მე-18 საუკუნის ის რუკები, რომლებიც ქართველ მეცნიერთა – სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონის, ტიმოთე გაბაშვილის შრომებს ეფუძნება. ამ მხრივ, აღსანიშნავია გიიომ დელილის (Guillaume Delisle) მიერ 1723 წელს პარიზში გამოცემული კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნების რუკა, ჟოზეფ-ნიკოლა დელილის (Joseph-Nicolas Delisle) მიერ 1766 წელს პარიზში და პაოლო სანტინის მიერ (Paolo Santini) 1775-1779 წლებში ვენეციაში გამოცემული საქართველოს რუკები. აღნიშნული რუკების გავლენა სხვა კარტოგრაფთა ნამუშევრებზეც აისახა.

ერთ-ერთი ასეთი რუკაა ჟილ რობერტ დე ვოგონდის (Gilles Robert De Vaugondy) 1748 წლის რუკა. გიიომ დელილის რუკის მსგავსად, აქაც დატანილია ზემო ქართლი (Haute Georgie) და ქვემო ქართლი (Basse Georgie). თბილისი დატანილია, როგორც Teflis, ხოლო საქართველო, როგორც Georgie.

ეპოქის მიმოხილვას ვასრულებთ იტალიელი კარტოგრაფის – ანტონიო ძატას (Antonia Zatta) 1784 წლის რუკით, რომელზეც თბილისი დატანილია, როგორც Tiflis, ხოლო საქართველო, როგორც Giorgia.

გიორგი ლობჟანიძე
ჰერალდიკის სპეციალისტი

თბილისის დასახელება ქართულ წყაროებში (XVIII საუკუნე)



ერეკლე II-ის წყალობის წიგნი, 1795 წ.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში საქართველოს სატახტო ქალაქი – თბილისი ძირითადად სახელდებულია როგორც – „ტფილისი“.

საინტერესოა, თუ როდის ეწოდა „ტფილისს“ – „თბილისი“?

1979 წელს გამოცემული „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ IV ტომში ასეა განმარტებული ტერმინი „თბილისი“: „თბილისი (1936-მდე ტფილისი)“ [1, 595].

1986 წელს გამოცემული „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ X ტომში ასეა განმარტებული ტერმინი „ტფილისი“: „ქ. თბილისის სახელწოდება 1936-მდე. იხ. სტ. თბილისი“ [2, 83].

2002 წელს ერთ ტომად გამოცემულ ენციკლოპედიაში „თბილისი“ ვკითხულობთ: „ძველქართულად ქალაქს „ტფილისი“ ერქვა და ამ სახელწოდებიდან გავრცელდა იგი სხვა ხალხთა ენებში (რუსულსა და ევროპულში „ტიფლის“; არაბულ-სპარსულში – „თიფლის“; სომხურში – „ტფღის“; ბერძნულში – „ტეფილის“)“ [3, 27-28].

ზემოთ მოყვანილი განმარტებების გაცნობისას რჩება შთაბეჭდილება, რომ 1936 წლამდე საქართველოს დედაქალაქის აღსანიშნავად გამოიყენებოდა მხოლოდ – „ტფილისი“, შემდეგ კი მის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი – „თბილისი“.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული XVIII საუკუნის მიწურულით დათარიღებული ერთი საყურადღებო დოკუმენტი შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ზემოთ მოტანილი განმარტებანი გადავსინჯოთ.

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1720-1798) მიერ მანკასარ თუშმალიშვილისადმი (თვით ამ დოკუმენტში იხსენიება „თუშმალოვის“ ფორმით) ბოძებულ აზნაურობის წყალობის წიგნში, რომელიც დათარიღებულია 1795 წლის 1 მაისით და რომლის დედანიც დაცულია ზემოხსენებულ არქივში, ვკითხულობთ:

„წყალობითა ღვთისათა, ჩუენ, ყოვლისა საქართველოსა, კახეთისა და სხუათა და სხუათამან ირაკლი მეორემან, მეფემან, გიბოძეთ წერილი ესე და განვაცხადებთ, რომ შენ – მანკასარ სარდარ გვარად თუშმალო ხარ, რომელიც გვარი საქართველოს კეთილშობილად აღრაცხილია და შენ შთამომავლობითურთ შენით შესაბამ ხარისხის თასისა კეთილშობილად იცნობებოდე და პატივცემულ იყავ, ვითარცა სხვანნი საქართველოს აზნაურნი, რომელსა მოვაწერთ წელსა და დავჰბეჭდავთ სამეუფოთა ბეჭდითა ჩვენითა წელთა 1795, თვესა მაისა I, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა უპგ დაიბეჭდა ქალაქსა შინა თბილისს (ხაზგასმა ჩვენია. ნ. ჯ.)“ [4].

წყალობის წიგნს ბოლოს ერთვის მეფე ერეკლე II-ის ფაქსიმილე – „ერეკლე“ (მარჯვენა კუთხეში). იმავე საბუთის მარცხენა კუთხეში დასმულია სამეფო ბეჭედი წითელი ფერის გოგირდზე [5, 71].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II-ის მიერ გაცემულ არაერთ საბუთში იხსენიება ტოპონიმი „ტფილისი“ [6].

ყოველივე ეს ნათელს ხდის, რომ XVIII საუკუნის მიწურულისათვის „ტფილისი“ და „თბილისი“ წარმოადგენდა ეკვივალენტურ და პარალელურ ტერმინებს.

აქვე, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, განვმარტოთ, თუ რატომ იხსენიება ამ საბუთში თუშმალიშვილის გვარი „თუშმალოვის“ ფორმით?

რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა, ქართველ თავადაზნაურთა გვარები ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტში რუსული დაბოლოებით ფიქსირდებოდა, მაგალითად, თურქესტანიშვილი – „თურქისტანოვის“ ფორმით, თუმანიშვილი – „თუმანოვის“ ფორმით და სხვ. [6].

თვით ზემოხსენებული ტრაქტატის რუსულ ვერსიას დართულ ქართულ წარჩინებულ საგვარეულოთა ნუსხაში ჩამოთვლილი გვარების უმეტესობა დაფიქსირებულია რუსული გვარებისათვის დამახასიათებელი სუფიქსით: „ოვ“. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი გვარები: „ჯამბაკურიან-ორბელიანოვ“, „ბარატოვ“, „ფალავანდოვ“, „ავალოვ“, „ერისტოვ“, „ამილახოროვ“, „მაჩაბელოვ“, „შალიკოვ“, „ჯავახოვ“, „ფავლენოვ“, „მაღალოვ“, „რატიევ“, „ამირეჩიბოვ“, „ჩოლოკაევ“, „საგინოვ“, „ჯანდიეროვ“, „ვახვახოვ“, “ენდრონიკოვ“, „ჩერკეზოვ“, „გურამოვ“, „აპხაზევ“ და სხვ. [7, 84-85].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინები „ტფილისი“ და „თბილისი“ წარმოადგენდა ეკვივალენტურ და პარალელურ ტერმინებს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) თხზულებაში „ქართული ლექსიკონი“ ტერმინი „ტფილი“ განმარტებულია როგორც „თბილი“, ხოლო „ტფილისი“, როგორც „თბილისი“ [8, 336].

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონსა“ და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის მიერ 1795 წელს გაცემულ წყალობის სიგელში დაცული ინფორმაცია საფუძველს გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ ტოპონიმი „თბილისი“ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იხსენიებოდა, როგორც „ტფილისის“ ეკვივალენტური და პარალელური ტერმინი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. თბილისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 4, თბ., 1979.
2. ტფილისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 10, თბ., 1986.
3. თბილისის ისტორია, ენციკლოპედია „თბილისი“, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბ., 2002.
4. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი № 845.
5. ნიკო ჯავახიშვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქის დასახელება ქართულ სამართლის ძეგლებში (XVIII საუკუნის მიწურული), „სამართლის ჟურნალი“ (სპეციალური გამოცემა), მასალები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 2011 წლის 27-28 აპრილს გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა: „სამართლის ისტორიის საკითხები“, თბ., 2012.
6. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები (1736-1797 წლები), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გამოცემა, შეადგინა მანანა ჭუმბურიძემ, თბ., 2008.
7. გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ, თბ., 1983.
8. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.

ნიკო ჯავახიშვილი
ისტორიკოსი, პროფესორი

XVII-XIX სს. თბილისის სპილენძის მონეტების იკონოგრაფიის ჰერალდიკური ასპექტები

ვცადეთ, მოკლედ დაგვეხასიათებინა XVII-XIX საუკუნეებში თბილისში მოჭრილი სპილენძის მონეტების იკონოგრაფია, შეგვესწავლა მისი ჰერალდიკური მნიშვნელობა.

თბილისის ზარაფხანის ინტენსიურად ამუშავება უკავშირდება მეფე როსტომის მოღვაწეობას. სეფიანთა სახელმწიფოში, რომლის უზენაესობაც აღიარეს ქართლისა და კახეთის სამეფოებმა, სპილენძის საფასე (მიღებული ტერმინია – ქალაქური შავი ფული) ადგილობრივ ბაზარს ემსახურებოდა – მისი გამოშვება ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივას (და შემოსავლის წყაროს) წარმოადგენდა. ასე გაგრძელდა სეფიანთა სახელმწიფოს დამხობის შემდგომაც; კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში – ყიზილბაშობის პერიოდში და, როგორც ტრადიცია მაინც, გაერთიანებული ქართლ-კახეთის ეპოქაში (1744-1801). იკონოგრაფიულად უკიდურესად მრავალგვარი „სპარსული“ ქალაქური შავების იკონოგრაფიის გაანალიზება ადრეც უცდიათ, მაგრამ, კომპლექსურად ეს საკითხი აქამდე არ შეუსწავლიათ.

თბილური შავი ფული, XVII-XVIII სს.

XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასაწყისის თბილური შავი ფული არ იძლევა გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. იკონოგრაფია ტრადიციულია და არ სცდება სპარსული ქალაქური სპილენძისთვის დამახასიათებელ თემებს: ორი თევზი, ლომი, მზე, ცხენი, ირემი, ფარშევანგი, ბრჭყალებიანი მხეცი, მარტორქა. ეროვნულ ჰერალდიკურ მოტივს ჩვენ ჯერ ვერ ვხედავთ. ორი თევზიც კი საეჭვოა, ამ შემთხვევაში ქრისტიანობასთან იყოს კავშირში.

მდგომარეობა იცვლება ქართლის სათავეში ვახტანგ VI-ის მოსვლის შემდეგ. მის სპილენძის ფულზე ხელახლა გაჩნდა ქართული ასოები და ქართველი მონარქის სახელი, თუნდაც დაქარაგმებულად. აშკარაა ქართველი მონარქის მიერ სამონეტო რეგალიის ნაწილობრივ მაინც დაბრუნება. საფასეზე ხომალდის სახით ნოეს კიდობანიცაა გამოსახული – (თუმცა წარღვნის სიუჟეტს ისლამიც იცნობს); ქრისტიანულ ალუზიად უნდა ჩაითვალოს ასევე

სვიმონის მონეტა, XVIII ს.

თარიღიც ქრისტეშობით (1708 ან 1709), ჰიჯრის თარიღის (1120) პარალელურად. მეორე მხარეს მოთავსებულია ორი თევზის გამოსახულება, რომელიც ჯერ კიდევ გვიან-რომაული ეპოქიდან ქრისტეს კრიპტოგრამას წარმოადგენდა (ΙΧΘΥΣ = Ἰησοῦς Χριστός, Θεοῦ Υἱός, Σωτήρ“). შემდგომი გამგებლის, სვიმონის მონეტაზე კვლავ ქართული ასოებია, მმართველის სახელის მითითება, მაგრამ ქრისტიანული აღარაფერია; თარიღი მხოლოდ ჰიჯრით არის მოცემული (1124). გამოსახულია გველეშაპი, რომლის სემანტიკაც, ჩანს, ეროვნულობას მოკლებულია. ბაქარის საფასე სვიმონისას ემსგავსება, ოღონდ, გამოსახულია ფარშევანგი (ამ იკონოგრაფიული სიუჟეტის მნიშვნელობა გაურკვეველია, თუმცა კი იმდროინდელ საქართველოში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა – XVII-XIX საუკუნის დასაწყისის თბილურ მონეტებზე სამჯერ გვხვდება). ალექსანდრე კახთა მეფის თბილური მონეტა მხოლოდ ჰიჯრით არის დათარიღებული (1148), ქართული ასოებიც კი არაა, თუმცა კი, ზოგიერთ ეგზემპლარზე ჩანს მეფის არაბულად ტრანსკრიბირებული სახელის ინიციალი.

ბაგრატიონთა კახური შტოს მიერ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის საფასეც დასაწყისში ინარჩუნებს ქალაქური შავის იერს: თარიღი ჰიჯრითაა (1162), გამოსახულებად ლომია, მაგრამ მონეტაზე კვლავ ჩნდება მონარქის სახელის აღმნიშვნელი ქართული ასოები. რეპროდუცირებულია წინამორბედების, ბაგრატიონთა ქართლის შტოს (მუხრან-ბატონების) სამონეტო პოლიტიკა. მონეტაზე არ

თეიმურაზ II-ის მონეტა, XVIII ს.

არის მითითებული ქართლის მეფის, თეიმურაზ II-ის ძის, კახეთში გამეფებული ირაკლი II-ის სახელი.

მდგომარეობა ძირეულად იცვლება ჰიჯრის 1166 და 1168 წლებით (და არა ქრისტეშობით) დათარიღებული სპილენძის საფასის შემთხვევაში: ემიტენტად მითითებულია როგორც ქართლის, ასევე კახეთის მეფეც, თეიმურაზ II და ირაკლი II: სამონეტო ტიპი ორი სამეფოს გაერთიანების ოფიციალური დეკლარაციაა. გამოსახულია მტაცებელი ფრინველის მიერ მეორე ფრინველის კორტნის სცენა. ვფიქრობთ, ჩვენს წინაშეა თბილისის დაარსების შესახებ ცნობილი ლეგენდის პირველი ასახვა ქართულ ისტორიაში, ამ ლეგენდის ამსახველი უძველესი არტეფაქტი. თბილისის მონეტაზე თბილისის დაარსების ლეგენდის ილუსტრირებას ჰერალდიკურ თუ პროტოჰერალდიკურ სიუჟეტად მივიჩნევთ, ხელისუფლების შეგნებულ მცდელობად, შეიმუშაონ სახელმწიფო გერბი.

11 წელიწადში მდგომარეობა შეცვლილია. ახალი წონითი სტანდარტის შემოღება უკარნახებს ირაკლი II-ის ადმინისტრაციას სამონეტო ტიპის შეცვლას, რომელიც, ჰერალდიკური თვალსაზრისით, რეგრესს განიცდის – ბაგრატიონთა გერბი შეცვლილია თევზის გამოსახულებით. 1780-იან წლებში ჩნდება ახალი სამონეტო ტიპი: თევზს ცვლის ორთავიანი უგვირგვინო არწივის გამოსახულება. უკანასკნელი, წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა, როგორც ჩანს, რუსულ გერბს ან მის ფრაგმენტს კი არ წარმოადგენს, არამედ უფრო ქართულ ჰერალდიკურ წრეს მიეკუთვნება, თუმცა მონეტაზე მისი მოთავსება შეიძლება, მართლაც, რუსული მონეტების ზეგავლენით აიხსნებოდეს. ამაზე ირიბად ისიც მიუთითებს, რომ ქრისტიანული თარიღი სწორედ არწივის კუდთანაა მოთავსებული, ციფრებიც არწივის კუდით ორ ჯგუფად არის დაყოფილი, როგორც ეს რუსულ სპილენძის მონეტებზეა.

ამრიგად, იკონოგრაფია, გარკვეულწილად, ნასესხებია რუსული მონეტებიდან, მაგრამ მოთავსებული ფიგურა არ წარმოადგენდა რუსული გერბის, როგორც სახელმწიფო თუ დინასტიური სიმბოლოს ქართულ მონეტაზე განთავსების მცდელობას. ისევ გაჩნდა თარიღი ქრისტეშობით, თუმცა კვლავინდებურად მიეთითება თარიღი ჰიჯრით. 1796 წელს ორთავიანი არწივის ადგილი უკვე ერთთავიანმა დაიკავა. მივიჩნევთ, რომ გამოსახულების შეცვლა უფრო წონითი სტანდარტის ხელახალ შეცვლას უკავშირდება. ღვთისმოსავი გიორგი XII-ის მონეტაზე არწივის სანაცვლოდ ისევ თევზი ჩნდება. ქართლ-კახეთის უკანასკნელი სამონეტო ტიპი უკვე დავით ბატონიშვილისაა; დე ფაქტო უკვე შემოღებული რუსული მმართველობის პირობებში მოჭრილ მონეტაზე დავითის სახელი არ არის აღნიშნული – არ არის თარიღი ქრისტეშობით, მხოლოდ ჰიჯრით (1215),

გიორგი XII-ის მონეტა, XVIII ს.

13 წელიწადში ქართლ-კახეთის ნუმიზმატიკური ჰერალდიკა თავის ვიზუალურ მწვერვალს აღწევს. მარტოდ დარჩენილი ირაკლი II უშვებს ახალ სამონეტო ტიპს: თარიღი კვლავინდებურად ჰიჯრითაა (1179); მონარქის სახელი სრულად არის გადმოცემული, არა მხედრულით, როგორც უწინ ხდებოდა, არამედ პომპეზური ასომთავრულით. მონეტაზე ერთმნიშვნელოვნად მმართველი დინასტიის, ბაგრატიონთა გერბია მითითებული (სასწორი, გვირგვინი, ჯვრიანი სფერო, სკიპტრა, მახვილი), რომელიც სახელმწიფო გერბის ფუნქციურ დატვირთვას იღებს. ეს სამონეტო ტიპი უკვე ვეღარ მიიჩნევა (სპარსულ) ქალაქურ შავ ფულად და ეროვნული ქართული სახელმწიფოს, ქართლ-კახეთის სამეფოს ვალუტად იქცევა (თუმცა კი, ტიპოლოგიური მსგავსება ჯერ არ არის საბოლოოდ დაძლეული).

ირაკლი II-ის მონეტა, XVIII ს.

ირაკლი II-ის მონეტა, 1796 წ.

სამაგიეროდ, პირველად თბილურ შავ ფულზე მოჭრის ადგილი მითითებულია არა არაბული, არამედ ქართული (მხედრული) გრაფემებით.

ვახტანგ VI-დან მოყოლებული ქართული სპილენძის ემისია რომ გავაანალიზოთ, აშკარად გამოიკვეთება რამდენიმე ევოლუციური ტრენდი:

- ნაციონალიზაცია, რაც გამოიხატა, ჩვენი აზრით, ანონიმურობის უარყოფაში (სამონეტო რეგალიის მითვისება?); იკონოგრაფიულ ტრანსფორმაციაში (XVII-XIX ს. დასაწყისის თბილური შავი ფული ქართული სახელმწიფოებრიობის აღზევება-დაცემის შესანიშნავ დასურათებას წარმოადგენს);

დავით ბატონიშვილის მონეტა, XIX ს.

- ქრისტიანიზაცია, რომელიც, ამ შემთხვევაში, ნაციონალიზაციის ფარგლებშიც შეიძლება განვიხილოთ; ქრისტიანიზაციაში ვგულისხმობთ თევზის, როგორც ქრისტეს ალუზიის, იკონოგრაფიული სიუჟეტის პოპულარობას; ასევე თარიღის მითითებას ქრისტეშობით, ვახტანგ VI-ის საფასის შემთხვევაში მაინც;
- ორიენტალური იერის შენარჩუნება, ნაწილობრივ, საფიქრებელია, ობიექტური მიზეზებით (მონეტის მოჭრის შედარებით არქაული ტექნიკის შენარჩუნება) ან ტრადიციის ძალით; იქნებ შეგნებულადაც;
- მოკრძალებულობა, რაც საგარეო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით დიპლომატიურობად უნდა ჩაითვალოს: ტიტულის მიუთითებლობა; დე ფაქტო იკონოგრაფიული შენიღბვა ქალაქურ შავ ფულად; დაუსრულებელი ქრისტიანიზაცია (მაგალითად, ჯვრის მიუთითებლობა).

ვახტანგ VI-დან დავით ბატონიშვილის დროით დამთავრებული, ქართული სპილენძის საფასის ევოლუციაზე მოქმედ ფაქტორებს ორ ძირითად ჯგუფად დავყოფდით: 1) საგარეო-პოლიტიკური, და, 2) შიდაპოლიტიკური.

საგარეო-პოლიტიკური ფაქტორებიდან გამოვყოფდით ირანზე დამოკიდებულების შემცირებას და, შესაბამისად, თანდათანობით, სეფიანური ნუმიზმატიკური ტრადიციის მარწუხებიდან გამოთავისუფლებას; პარალელურად მის ჩანაცვლებას რუსეთზე დამოკიდებულებით, რასაც თან ახლდა რუსული სამონეტო საქმის მზარდი ზეგავლენა.

ბაქარ ვახტანგის ძის მონეტა

სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობიდან აღსანიშნავია ირაკლი II-ის მცდელობები, სახელმწიფო ვესტერნიზაცია-ევროპეიზაციის გზით წაეყვანა. ამასთან, ქართლ-კახეთის თუნდაც დროებით და გარდამავალ მოღონიერებას მმართველი დინასტიის წარმომადგენელთა მზარდი ამბიციურობა მოჰყვებოდა; სამონეტო საქმეს თავისი დაღი დაასვა ასევე მდგომარეობის სტაბილიზაციამ და პროგრესმა ისეთ დარგებში, როგორებიცაა ქვეყნის ეკონომიკა, სამხედრო საქმე; იდეოლოგიური თვალსაზრისით – სახელოვანი წარსულით შთაგონება.

ირაკლი ფაღავა
ისტორიის დოქტორი, ნუმიზმატიკის
სპეციალისტი, აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი

თბილისის ჰერალდიკური სიმბოლოების ისტორია

სადღეისოდ ქალაქი თბილისი იყენებს გვიან საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ასომთავრული „თ“-სა და არაჰერალდიკურად სტილიზებული შევარდნის შერწყმულ გამოსახულებას (ავტორი ე. ბურჯანაძე). ეს სიმბოლო არც ერთ ჰერალდიკურ კანონსა თუ ნორმას არ ემორჩილება და ბუნებრივია, რომ მას გერბად ვერ მოვიხსენიებთ. იგი წარმოადგენს „ლოგოს“ (კომერციული სავაჭრო ნიშანი), რაც მისაღებია კერძო კომპანიისთვის და არა ქალაქისთვის. „ლოგოს“ თანადროული ქმნილებაა ფინეთის დროშის მსგავსი „ცისფერი ჯვარიც“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ნაშრომის მიზანია:

- თბილისის ისტორიული გერბის აღდგენა ახალი რედაქციით;
- ქალაქის შტანდარტის და ბეჭდების შექმნა;
- ქალაქის გასაღებისა და თბილისის მერის ყელსაკიდი მედლის შემუშავება;
- თბილისის რაიონებისათვის მკაცრი ჰერალდიკური ნორმების გათვალისწინებით ახალი გერბების, შტანდარტების და ბეჭდების შექმნა, მათი ერთიან სისტემაში მოყვანა და განმარტება.

თბილისის ათი რაიონი, მაშინ, (პროექტი 2002 წელსაა შემუშავებული), წყვილ-წყვილად იყო გაერთიანებული. ჰერალდიკური ნორმების მიხედვით, თითო ტერიტორიას თითო გერბი შეესაბამება. ახლა ისინი კვლავ ათად დაიყო. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უპრიანად მიგვაჩნია ათივე რაიონის გერბის შექმნა. გაერთიანებული რაიონების გერბებზე, თბილისის გერბთან ერთად, მისი შემადგენელი ორივე რაიონის გერბი გამოიხატება, მათი განცალკევების შემთხვევაში კი – თბილისისა და კონკრეტული რაიონის.

ტრადიციით, ერთხელ გაკვეთილი და გადაკვეთილი (ანუ ჯვრით ოთხ ნაწილად დაყოფილი) ფარის პირველ და მეოთხე ველებზე თბილისის გერბს გამოვსახავთ, მეორე და მესამე ველებზე – შესაბამისი რაიონების გერბებს.

ძველი დროიდან, ევროპაში სადევიზო წარწერებისთვის, უმეტეს შემთხვევაში, ლათინურ ენას, ინგლის-საფრანგეთში ზოგჯერ ძველფრანგულს, გერმანიაში კი ძველგერმანულს იყენებდნენ. მოგვიანებით წარწერების შექმნა ეროვნულ ენებზე დაიწყეს, მაგრამ დღესაც ლათინური პრივილეგირებულ მდგომარეობას ინარჩუნებს. ასე იყო რუსეთის იმპერიაშიც, სადაც უმეტეს შემთხვევაში ლათინურს იყენებდნენ, იშვიათად კი – რუსულს. საქართველოში საგერბო დევიზი-წარწერები ასომთავრულად იწერებოდა. ასეა გიორგი XI-ის, ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის გერბებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს, ასომთავრული საერთოდ არ იხმარება სახელმწიფო სტრუქტურებში, არადა ტრადიციულად, მხედრულით შესრულებული მაღალი რანგის დოკუმენტების თავსართ ასოებს, პარაგრაფებსა და ხაზგასასმელ პუნქტებს სწორედ ასომთავრულით წერდნენ. აუცილებლობად მიგვაჩნია ამ ტრადიციის აღდგენა და დევიზების ასომთავრულით შესრულება, რისთვისაც შევიმუშავეთ გვიანი შუასაუკუნეების, არალაპიდარული ასომთავრულით ინსპირირებული ახალი შრიფტი. ეს შრიფტი, დღეს არსებული კომპიუტერისა და სტამბებისათვის შექმნილი, ადრეშუასაუკუნეების ლაპიდარულზე გაწყობილი (ქვაზე ამოსატვიფრი) შრიფტისაგან განსხვავებით, რომლის ყველა მონახაზი ერთი სისქისაა, უფრო ზუსტად გამოხატავს ანბანის ფურცელზე, და საერთოდ, სიბრტყობრივი გამოსახვის დანიშნულებას. ჩვენ მიერ შექმნილი შრიფტი, მოხაზულობის სხვადასხვა სისქით, შეესაბამება ლათინურსაც და ორენოვანი წარწერებისათვის ბევრად უფრო გამოსადეგია.

თბილისის გერბის აგებულება

ტრადიციიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ საგერბო ფარად „ფრანგული ანუ ევროპული ფარის“ გამოყენება. განსაკუთრებულ და საზეიმო შემთხვევებში გერბი, ტრადიციისამებრ, „ქართული სამეფო გვირგვინით“ დაგვირგვინდება. დღევანდელი დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, თბილისს უკვე რვაქიმიანი (ნახატზე ხუთი ქიმი მოჩანს) ოქროს გვირგვინი შეესაბამება. ოთხქიმიანი (ნახატზე სამქიმიანი) გვირგვინები კი თბილისის რაიონების გერბებისთვის გავითვალისწინეთ.

თბილისის გერბი, ჰ. შტროლი, 1904 წ.



თბილისის დიდი გერბი

თბილისის გერბს ისტორიული დევიზი არ გააჩნია, ხოლო ჰერალდიკის ტრადიციიდან გამომდინარე, პირველი ხარისხის ტერიტორიულ გერბზე ამ ტერიტორიის დასახელების დაწერა საკმაოდ ცუდ ჰერალდიკურ ტონად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ უდევიზო გერბის არსებობა. გვინდა, აღვნიშნოთ ისიც, რომ ევროპის ბევრი სახელოვანი ქალაქიც არ ხმარობს დევიზს და ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ ვიქნებით. სადევიზო ბაფთის ნაცვლად ასეთ შემთხვევებში მიღებული მცენარეული ორნამენტი გამოვიყენეთ.

დღევანდელი პოლიტიკური სინამდვილიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ, ისტორიულ გერბზე გამოსახული, რუსული ჰერალდიკისათვის დამახასიათებელი „ყვავილოვანი ჯვარი“ ქართველთათვის უფრო ტრადიციული თორმეტბოლოიანი „ჯვარ-ჯვარედინი“ ჯვრით შეგვეცვალა. თავს ნებას მივცემთ და ამის შემდგომ მას „თბილისურ ჯვრად“ მოვიხსენიებთ.

მიზანშეწონილია, აგრეთვე, ქრისტიანობის მაჰმადიანობაზე გამარჯვების კომპოზიციის შეცვლა. აქედან გამომდინარე, ჯვარდაბჯენილი ამოტრიალებული ნახევარმთვარე გერბიდან საერთოდ ამოვიღეთ. გერბს მოვაშორეთ, აგრეთვე, უფუნქციოდ დარჩენილი ორი „მარჯვენა“ (ხელი). გამოსახვის სიმარტივისათვის ლომების შავი თვალები და ენა მეწამულით შევცვალეთ. გერბს დავუმატეთ მანამდე არარსებული ფარისმცველები – საგერბო ფარიდან გამოსული ლომი, რომელიც „ლეოპარდისებრ ლომად“ გვევლინება და „თბილისის შევარდენი“, თბილისის დაარსების ლეგენდის გათვალისწინებით. ქართულ ჰერალდიკაში მიღებული ტრადიციით, წარწერები სადევიზო ბაბთებსა და ბეჭდებზე ასომთავრულით სრულდება.

თბილისის გერბი

ოქროს ევროპული (ფრანგული) ფარი სევადი ანუ შავი სწორი ჯვრით ოთხ ნაწილადაა გაკვეთილ-გადაკვეთილი. დიდ ჯვარზე მომცრო, ჯვარ-ჯვარედინი, თორმეტბოლოიანი ოქროს „თბილისური ჯვარია“ გამოსახული. ფარის ოთხივე ველზე მეწამული, ხახადაღებული და ენაგადმოყოფილი ლომის თავებია. ფარი ქართული სამეფო (გიორგი XII-ის) გვირგვინითაა დაგვირგვინებული.

ჰერალდიკურად მარჯვენა „ფარისმცველი“ მეწამული, ოქროს რვაქიმიანი (ნახატზე უკანა სამი ქიმი არ ჩანს, ამრიგად გვირგვინი ხუთქიმიანად აღიქმება და უმეტეს შემთხვევაში ასეც ვუწოდებთ) საქალაქო გვირგვინით დაგვირგვინებული, ხახადაღებული და ენაგადმოყოფილი ლომია (ლომისებრი ლეოპარდი).

მარცხენა „ფარისმცველი“ კი თეთრი და ნატურალური ფერის ოქროსნისკარტიანი, ნახევრად ფრთაგაშლილი, ოქროს რვაქიმიანი (ხუთქიმიანი), საქალაქო გვირგვინით დაგვირგვინებული შევარდენია. ფარი და „ფარისმცველნი“ ოქროს მცენარეულ ორნამენტზე დგანან.

შინაარსობრივი განმარტება: ქართული ჰერალდიკისთვის ლომი ტრადიციული სიმბოლოა. იგი სიძლიერეს და სიდარბაისლეს გამოხატავს. ლომის დაღებული ხახიდან გადმოყოფილი ენა ჰერალდიკაში აღიქმება, როგორც ლოგოსი ანუ ღვთის სიტყვა. ოქრო სამეფო ლითონია, მეწამული მაღალი რეგისტრის მინანქარია და სევადთან (შავთან) ერთად (მეოცე საუკუნის ქართული დროშის ფერებისაგან დამოუკიდებლად) ქართულ ეროვნულ ფერს წარმოადგენს.

თბილისის შტანდარტი

კვადრატული ფორმით (1x1) გამოსახულ თბილისის გერბს სამი მხრიდან ოქროსფერი ფოჩის ზორტი არტყია. შტანდარტის ტარს ოქროსფერი „თბილისური ჯვრის“ (თორმეტბოლოიანი) ფორმის ბუნი ადგას. ტარზე მიმაგრებულია კარკასი-ჩარჩო, რომელზეც შტანდარტია ჩამოცმუ-



თბილისის მთავარი შტანდარტი

ლი. ჩამოცმის ადგილები მეწამული ზორტით იფარება.

მთავარი შტანდარტი საპატიოდ უნდა ინახებოდეს მერიაში, ცალკე გამოყოფილ სათავსოში, ვერტიკალურ მდგომარეობაში. დასაშვებია კარკასი-ჩარჩოს გარეშე შენახვა.

შტანდარტის დასაცავად და მისი ფუნქციის განსასაზღვრად უნდა მოქმედებდეს სპეციალური „კანონი შტანდარტის შესახებ“.

მთავარი შტანდარტი ძვირფასი მასალისაგან მზადდება, მთავარი შტანდარტის ასლი კი – შედარებით ნაკლებღირებული მასალისაგან და მერიის შენობაზე აღიმართება. შტანდარტის ასლები ქალაქში გამოიფინება დღესასწაულების დროს.

ქალაქის მერიის საგანგაშო გახიზვნის შემთხვევაში (საომარი მდგომარეობის, სტიქიური მოვლენების), აუცილებელია მთავარი შტანდარტის ევაკუაციაც.

ქალაქის დიდი ბეჭედი

ბეჭდის ცენტრში ქართული სამეფო გვირგვინით დაგვირგვინებული, თბილისის გერბის მცირე ვერსიაა („ფარისმცველების“ გარეშე). გერბის უკან, მარჯვნივ და მარცხნივ ქალაქის თითო გოდოლი და კედლის ნაწილი მოჩანს. გერბიან წრეს ირგვლივ ქართულ და ლათინურ ენებზე შესრულებული წარწერები არტყია. ზედა მათგანზე ასომთავრულით სწერია – „ქალაქი თბილისი“, ქვედაზე – იგივე ძველ ლათინურ ენაზე ”URBS THEPHELIS” (თბილისის ახალლათინური ფორმაა თჰბილისი). ეს ბეჭედი მხოლოდ განსაკუთრებული, ორი მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებისათვის გამოიყენება, როგორებიცაა: ქალაქის სახელმწიფოსთან ურთიერთობის შეთანხმებები, ის დოკუმენტები, რომლებიც მის უფლებრივ სტატუსს განსაზღვრავს, უცხოეთის ქალაქებსა



თბილისის დიდი ბეჭედი



მთაწმინდა-კრწანისის გერბი

თუ სახელმწიფოებთან ურთიერთობის შეთანხმებები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, გამოიყენება ქალაქის მცირე ბეჭედი, რომელზეც სამეფო გვირგვინის მაგივრად, თბილისის საგერბო ფარი ხუთქიმიანი, საქალაქო გვირგვინითაა დაგვირგვინებული.

ქალაქის თავის თბილისის გერბიანი გულსაკიდი მედალიონი, ქალაქის ფერებიანი სამხარიღლიე ანუ ყაწიმი და ქალაქის სიმბოლური გასაღები.

მთაწმინდა-კრწანისი: გაერთიანებული გერბი

მთაწმინდა: შინაარსობრივი განმარტება: ჯვრიანი მთა ჰერალდიკურად წმინდა ადგილს ასახავს, რაც მთაწმინდის შინაარსს ზედმიწევნით შეესაბამება. ოთხი გვირგვინი მთაწმინდის რაიონში განლაგებული სამი უმაღლესი სახელმწიფო სტრუქტურის, პარლამენტის, პრეზიდენტის ინსტიტუტის, უმაღლესი სასამართლოსა და ქალაქის მერიის აღმნიშვნელია.

კრწანისი: შინაარსობრივი განმარტება: კრწანისის ისტორიული მონაკვეთი თბილისის უძველესი ორიგინალური ნაწილია. აქ იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მთავარი რეზიდენცია და საპატრიარქო. აქვეა სიო ნის საკათედრო ტაძარი. ჩვენს ჰერალდიკურ ინტერესს სწორედ საქართველოს ქრისტიანული ცენტრის აქ მდებარეობის დაფიქსირება წარმოადგენს.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ გერბში მახარობლების სიმბოლოებია გამოყენებული. ჰერალდიკაში, ისევე, როგორც იკონოგრაფიაში, ანგელოზი აღნიშნავს მათეს, ლომი – მარკოზს, ხარი – ლუკას, არწივი კი – იოანე მახარობელს.

ზაქარია კიკნაძე
მხატვარი, ჰერალდიკის სპეციალისტი

თბილისის დაარსებაზე ლეგენდის წარმოშობა

სერ უილიამ სიმფსონი, თბილისი, 1888

წინამდებარე მცირედი ნაშრომის მიზანია თბილისის წარმოშობასთან დაკავშირებული ლეგენდებისა და საისტორიო წყაროების მოკვლევა და დედაქალაქის ჰერალდიკასთან მიმართებაში განხილვა. აქედან გამომდინარე, კვლევის ჩარჩოების შესაბამისად, არ შევეხებით თბილისის საერთო, მეტად მდიდარ ისტორიას. შესწავლის საგანი კონკრეტულად ქალაქის დაარსების შესახებ არსებული ლეგენდები, მათი მოკლე ანალიზი და ამ ლეგენდებთან დაკავშირებული წყაროების დადგენა-დაზუსტებაა. აღნიშნულ საკითხებში გარკვევა კი ხელს შეუწყობს საბაზისო ცოდნის არსებობას, რომლის საფუძველზეც, საკუთარი შეხედულებებისამებრ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება ჩამოიყალიბოს მოსაზრება, თუ რა სახით და რა დოზით იქნება უფრო მიზანშეწონილი, თბილისის საქალაქო გერბსა და სიმბოლიკაში ქალაქის ისტორიასთან დაკავშირებული მონაცემების ასახვა.

ქართულ წერილობით წყაროთაგან უძველესი ცნობები თბილისის დაარსების შესახებ შემოგვინახა „ქართლის ცხოვრებამ“. ამათგან უპირველესია ამ საისტორიო თხზულების ეპიზოდი, რომელიც ფარნავაზის სიზმრისა და ნადირობის შესახებ მოგვითხრობს: „განიღვიძა ფარნავაზ და განუკუირდა სიზმარი იგი: „ხოლო მას დღესა შინა განვიდა და ნადირობდა მარტო და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა; და ივლტოდეს ირემნი ღრღალთა შინა ტფილისისათა; მისდევდა ფარნავაზ, ჰსტყორცნა ისარი, ჰკრა ირემსა და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მოვიდა ფარნავაზ ირემსა ზედა, და დღე იგი მწუხრი, გარდაჰხდა, და დაჯდა ირემსა მის თანა, რათამცა დაყო მუნ ღამე, და დილეუმცა წარვიდა. ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო. რომლისა კარი ამქმნილ იყო ქუითა ძუელად, შეჰქონდა დარღუევა შენებულსა მას; მუნ დაასხა წუიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლოგი და გამოარღუია კარი ქუაბისა მის, რათამცა მუნ შიგა და იმშრალა წუიმისა მისგან. და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვეცხლი მიუწდომელი”. როგორც ვხედავთ, ცნობა ნაწილობრივ წააგავს თბილისზე ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებულ ქორ-შევარდნებით ნადირობასთან დაკავშირებულ ლეგენდას, მაგრამ არ შეიცავს რაიმე მინიშნებას ცხელი წყლების არსებობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ადგილმდებარეობა თბილისს არა მხოლოდ ამ ცნობილი ტოპონიმით უკავშირდება, არამედ „დიღმის ველის“ ხსენებითაც. თუმცა აღსანი-

შნავია, რომ ვახუშტისა და თეიმურაზ ბაგრატიონთა მონაცემებით, „ტფილისი“ დაბისა თუ სოფლის სახით ვახტანგ გორგასლის მეფობამდეც არსებობდა, ტოპონიმი კი ამ ვერსიების მიხედვითაც, ბუნებრივია, დასახლებასთან მდებარე თბილი წყლების არსებობიდან მომდინარეობდა. როგორც ჩანს თბილ წყლებზევე მიუთითებს ქ-ით IV ს-ის რომაელი ავტორის კასტორიუსის საგზაო რუკაზე, რუსთავსა და არმაზ-ციხეს შორის მონიშნული სადგური „ფილადო“, რაც „ტფილისის“ ლათინიზებულ და შემდგომ დამახინჯებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს.

თბილისის აშენების სახალხოდ ცნობილი ლეგენდა ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა. ლეგენდა, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო, როგორც მინიმუმ, უკვე XIX საუკუნიდან და კიდევ უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვა XX საუკუნის დასაწყისში და მის შემდგომ, კომუნისტურ პერიოდში. თქმულების შინაარსი რამდენიმე წყაროშია დაფიქსირებული. ამ შემთხვევაში უპრიანი იქნება, მოვიშველიოთ ციტატა ყველაზე უფრო გვიანდელი და მეცნიერულად დამუშავებული ნაშრომიდან: „ეს ადგილი, სადაც ეხლა თბილისია, მეხუთე საუკუნეში დაფენილი იყო ატეხილი ტყით, რომელშიაც ბუდობდა მრავალი ნადირი. ვახტანგი ერთხელ ნადირობდა აქა და გაჩვეული მიმინო [ზოგი ვერსიის თანახმად – ქორი. თ. ა.] გამოუყენა ხოხობსა. ორივენი ჩაიმალენ ხევში და აღარც ერთი არ გამოჩნდა. მაშინ ვახტანგი თავისი ამალით ჩავიდა ამ ხევში, ნახა მომდინარე ცხელი წყალი და შიგ მოხარშული მიმინო-ხოხობით. გაუშინჯა ამ ადგილს არე-მარე, მიხვდა ამ ცხელი წყლის მარგებლობას და გაჰსწყვიტა აქ ქალაქის აგება. უბრძანა გაეკაფნათ ტყე, გაეწმინდათ ადგილი მიჰყოლოდნენ სახლების შენებასა. გამომდინარე თბილის წყლის გამო ამ ქალაქს უწოდა თბილისი“. რაც შეეხება საისტორიო ცნობას თბილისის აღმშენებლობის შესახებ, იგი კვლავ „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა, ჯუანშერის თხზულების „ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისას“ ფარგლებში, რომელიც გვამცნობს, რომ ქალაქის შენება ვახტანგ მეფეს დაუწყია და მის ძეს დაჩის დაუსრულებია: „და ვითარცა მოვიდა მოციქული ვახტანგ მეფისა, ვახტანგ მეფე აშენებნ ქალაქსა ტფილისისა, საფუძველი ოდენ დაედვა“... და შემდეგ, ტექსტში ოდნავ ქვევით: „ამან დაჩი მეფემან იწყო შემდგომად სიკუდილისა ვახტანგისა შენებად ქართლისა... და განასრულა ზღუდენი ტფილისისანი; და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შე(ე)ქმნა სახლად სამეფოდ.“ ვფიქრობთ, აღწერილი მასალებიდან გამოსჭვივის, რომ თბილისის დაარსებასთან დაკავშირებული საისტორიო და ზეპირსიტყვიერი წყაროები ერთგვარად ეხმაურება და ადასტურებს ერთურთს.

განხილული გადმოცემებისა თუ საისტორიო მონაცემებიდან გამომდინარე, რამდენიმე შემაჯამებელი მოსაზრების ჩამოყალიბება არის შესაძლებელი. როგორც ვხედავთ, არა მარტო თქმულებებით, არამედ საისტორიო წყაროებითაც დასტურდება, რომ „თბილისი“, რასაკვირველია, დასახელების სხვადასხვა ფორმით, ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი და ტოპონიმია საქართველოში. თვალშისაცემია, რომ, როგორც ჩანს, ადრეულ ხანაში, სანამ ქალაქი განვითარდებოდა და განივრცობოდა, ნადირობა მის მიდამოში მეტად პოპულარული იყო და ეს არე გამოირჩეოდა მდიდარი ფლორითა და ფაუნით. თვით ქალაქის განაშენიანებისა და მისთვის დედაქალაქის ფუნქციის განსაზღვრის ინიციატივა, როგორც წყაროებზე დაყრდნობით ვიხილეთ, ვახტანგ გორგასალს ეკუთვნის. თბილისის მდებარეობა მნიშვნელოვანი გზების გასაყარზეა და მისი სავაჭრო დანიშნულება ადრეულ ეტაპზევე იმდენად გამოვლენილა, რომ მცხეთას – ისტორიულ დედაქალაქს ფუნქცია ადვილად ჩამოართვა. თბილისის, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის როლი ჰერალდიკაშიც აისახა, ქალაქის გერბის ერთ-ერთ ვარიანტზე, საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს, XIX ს-ის დასაწყისში. რაც შეეხება ქალაქის ფარგლებში მომდინარე ცხელ გოგირდის წყლებს, მათი არსებობა ბუნებრივია დღესაც თვალსაჩინოა. დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ აღწერილი მოვლენების, პიროვნებების, ბუნების მახასიათებლებისა თუ ფაუნის წარმომადგენლების სიმბოლურად, სტილიზებულად ასახვა თბილისის გერბსა თუ სხვა საქალაქო სიმბოლიკის ატრიბუტებში, ალბათ, არათუ სრულიად მისაღები, არამედ სასურველიც კი არის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ქართული ზეპირსიტყვიერების საგანძური“ თქმულება და ეპოსი, ტ 1, თ. ქურდოვანიძე, გამ. „საქართველოს მაცნე“, თბ. 2013 წ.
2. „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“, გ. გამყრელიძე, ბაკურ სულაკაურის გამ. თბ. 2013 წ.
3. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., საქ. მეცნ. აკად. გამ. თბ. 1942 წ.
4. „ბუნების კარი“, ი. გოგებაშვილი, V გამოცემა, 1885 წ.
5. „საქართველოს ისტორია“ I, მ. ჯანაშვილი, 1906 წ. გვ. 44; „საქართველოს მოკლე ისტორია“, მ. ჯანაშვილი, 1884 წ.

თორნიკე ასათიანი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ჰერალდიკის სპეციალისტი

დედაქალაქების ჰერალდიკური სიმბოლოები და მათი გამოსახვა

ჩვენი მიზანია საქალაქო სიმბოლოების, მათი წარმოშობის, ისტორიისა და ჩამოყალიბების პირობების მიმოხილვა – როგორ იქმნებოდა, რისთვის გამოიყენებოდა და რა მნიშვნელობა შეიძინა საქალაქო სიმბოლოებმა დროთა განმავლობაში.

ქალაქის შემთხვევაში მთავარი სიმბოლო გახლავთ ქალაქის გერბი, ქალაქის დროშა, როგორც წესი, წარმოადგენს სტანდარტს და თავისი მხატვრულ-იდეური გადაწყვეტით მჭიდროდ არის დაკავშირებული გერბთან. ხოლო გერბი განმასხვავებელი სამართლებრივი ნიშანია, რომელიც შექმნილია ჰერალდიკის წესების დაცვით და დამტკიცებულია უმაღლესი ხელისუფლის მიერ.

თავდაპირველად ჩამოყალიბდა საქალაქო ბეჭედი, შემდეგ გერბი და უკვე გერბი გამოისახა დროშაზე ან მნიშვნელოვნად განაპირობა დროშის სახე.

X-XII საუკუნეებიდან ევროპაში იწყება სავაჭრო ურთიერთობების განვითარება, საქალაქო ბაზრების წარმოქმნა, რასაც, ბუნებრივია, მოსდევს ქალაქების განვითარება. იმავდროულად სუსტდება ფეოდალების გავლენა და თავიდან ყალიბდება მიწისმფლობელი ფეოდალისა და ქალაქის ვაჭართა ფენის ურთიერთობა.

მიწას ფლობდნენ კეთილშობილი გვარები. მიწა და შთამომავლობა ატარებდა ჰერალდიკურ სიმბოლოებს, რაც აისახებოდა ქალაქების ბეჭედზე; ბეჭდის გამოყენების უფლება და მისგან მიღებული სარგებელი გახლდათ ის ძირითადი სტიმული, რამაც დასაბამი მისცა საქალაქო ჰერალდიკის განვითარებას.

ამ დროიდან დაიწყო საგვარეულო ჰერალდიკური ნიშნების, სიმბოლოების გამოსახვა პირველ სავაჭრო, საგადასახადო დოკუმენტებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებზე.

XIII-XIV საუკუნეებში ქალაქებში იქმნება თვითმმართველობა, სავაჭრო სინდიკატები, რომლებიც ცდილობენ ფეოდალებისგან გათავისუფლებას და იწყება ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამ დროიდან გერმანიაში, ჩეხეთში, ავსტრიაში, იტალიაში მრავალი ქალაქი აღწევს სრული დამოუკიდებელი მართვის უფლებას... რაც პირდაპირ აისახება საქალაქო სიმბოლოების დამტკიცებაზე, გამოყენების სფეროს გაფართოებაზე. საქალაქო სიმბოლოები იძენს უკვე არა მხოლოდ სავაჭრო, არამედ სამხედრო შინაარსს; ქალაქი ქმნის რაზმს, სამხედრო, სამართალ- დამცავ უწყებებს, რომლებიც საჭიროებენ განმასხვავებელ ნიშნებს.

თანამედროვეობაში მრავალ ქალაქს საკუთარი ისტორიული სიმბოლოები აქვს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და მათ მხატვრულ თუ შინაარსობრივ ცვლილებას განაპირობებდა სხვადასხვა გარემოება: ქალაქების ან დასახელებების გაერთიანება, მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური, კულტურული თუ ეთნიკური ცვლილებები, თუმცა ტრადიციული ევროპული ქალაქები თითქმის ყოველთვის ინარჩუნებდნენ სამართლებრივ მემკვიდრეობითობას. წარმოგიდგენთ ხსენებული მემკვიდრეობითობის რამდენიმე მაგალითს.

საქალაქო სიმბოლოები შესაძლებლობას გვაძლევს, წავიკითხოთ, გამოვიცნოთ, თუ რომელ რეგიონს განეკუთვნება ქალაქი, დასახლება და რა კულტურული თუ პოლიტიკური პრიორიტეტების მატარებელია.

საქალაქო გერბების შედგენა ხდება შინაარსობრივი მნიშვნელობის შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

1. ისტორიული ტრადიციები;
2. მითები და ლეგენდები;
3. ეკონომიკური დატვირთვა;
4. კულტურული მნიშვნელობა და ეთნოგრაფია.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ბერლინი

ბერლინის დროშა – თეთრი ფერის მართკუთხა ქსოვილია, რომლის ზედა და ქვედა ნაწილი წარმოადგენს ორ წითელ, თანაბარ (1/5) ზოლს. დროშის ცენტრში თეთრ ვერცხლის ველზე გა-

ქალაქ ბერლინის მოქმედი დროშა და გერბი



ქალაქ პარიზის მოქმედი დროშა და გერბი

ქალაქ ასტანის მოქმედი დროშა და გერბი

მოსახულია ბერლინის გერბის მთავარი ფიგურა შავი დათვი. ბერლინის გერბი წარმოადგენს ვერცხლის ფარს – ცენტრში გამოსახულია შავი დათვის ფეხზე მდგომი ფიგურა. ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ოქროს გვირგვინი ხუთი ოქროს ფოთლით. დათვის გამოსახულება პირველად ჩნდება 1280 წელს, საქალაქო ბეჭედზე, სადაც აგრეთვე გამოსახული იყო არწივი და მეორე დათვიც.

XV საუკუნიდან საქალაქო ბეჭედზე ფიქსირდება მხოლოდ ერთი დათვი, რომელიც შენარჩუნებულია XVIII საუკუნემდე. 1709 წლიდან პრუსიის დედაქალაქი ბერლინი გაძლიერდა ახლომდებარე ქალაქების ხარჯზე და მის გერბზე გამოჩნდა უკანა ფეხებზე შემდგარი დათვი და ორი არწივი, პრუსიული და ბრანდერბურგული, როგორც პრუსიისა და ბრანდერბურგის გაერთიანების სიმბოლო.

საქალაქო გვირგვინი დაემატა 1839 წლიდან.

რატომ დათვი ბერლინის გერბზე?

რვა საუკუნის წინ მდინარე შპრეეს ნაპირებზე გაშენებული ორი ქალაქი კელნი და ბერლინი გააერთინა ალბრეხტ ბრანდერბურგელმა, მეტსახელად, „დათვმა“ (ალბრეხტ დათვი).

პარიზი

პარიზის გერბი ოფიციალურად დამტკიცდა 1358 წელს შარლ V-ის მეფობის დროს. გერბზე ცენტრალური ფიგურაა ვერცხლის გემი მეწამულ ველზე, რომელიც წარმოადგენს სენაზე მდებარე კუნძულ სიტეს, რომელსაც გემის ფორმა აქვს. გერბის პირველი გამოსახულება გვხვდება 1210 წელს. გერბის ძირითადი სიმბოლოები 1190 წელს დაამტკიცა ფილიპე II-მ.

რევოლუციის შემდეგ, 1790 წლიდან, საფრანგეთში 1811 წლამდე ყველა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გერბები გაუქმდა. ნაპოლეონის ბრძანებით, პარიზის გერბი აღდგა 1811 წლის 29 იანვარს. ხოლო ლუდოვიკ XVIII-მ იგი დაამტკიცა ძველი რედაქციით, რომელიც დღემდე გამოიყენება.

ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ოქროს გვირგვინი ხუთკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის). პარიზის დროშა გერბთან ერთად წარმოადგენს ქალაქის ოფიციალურ სიმბოლოს. ის გახლავთ ლურჯი და წითელი ფერის კვადრატული ფორმის ქსოვილი. ლურჯი ფერი გამოხატავს პარიზის მფარველს წმ. მარტინ ტურელს, ხოლო წითელი – წმ. დიონისეს.

ასტანა

შედარებისათვის წარმოგიდგენთ, აგრეთვე, ქალაქ ასტანის დროშას და გერბს, რომელიც არსებითად უფრო ემბლემას წარმოადგენს. ასტანის ემბლემა, ისევე, როგორ ქალაქი, მოკლებულია ისტორიულობას, ემბლემატურია და არ ჯდება ჰერალდიკურ ტრადიციაში.

მამუკა გონგაძე
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე

თბილისის დაძმობილებული ქალაქების სიმბოლიკა

თბილისის სიმბოლიკა (გერბი და დროშა), რომელიც მიღებულია 1989 წელს, გარდა ადგილობრივი გამოყენებისა, წარმოდგენილია საერთაშორისო ასპარეზზეც. თბილისი დაძმობილებულია მსოფლიოს 18 ქალაქთან და ჰყავს 14 პარტნიორი ქალაქი, რაც გულისხმობს ქალაქებს შორის კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული და სხვა ურთიერთობების გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებას.

საქალაქო ჰერალდიკის შესწავლის თვალსაზრისით, დაძმობილებული ქალაქების სიმბოლოები, მათი ერთად გამოსახვის პრაქტიკა განსაკუთრებულად საინტერესო მახასიათებლებს ავლენს. კერძოდ, მაგალითად, როგორ განსხვავდება მოქმედი ჰერალდიკური ნიშნები რეგიონების მიხედვით, როგორ აისახება საზოგადოების კულტურული თუ პოლიტიკური მდგომარეობა საქალაქო ჰერალდიკაში.

სიმბოლოების ურთიერთშედარება ცხადყოფს, თუ რა ადგილს იკავებს თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის, სიმბოლოები ჰერალდიკური ნიშნების საერთო გეოგრაფიაში და რამდენად შეესაბამება თბილისის დღევანდელი გერბი და დროშა ქვეყნის და უწინარესად ქალაქის განვლილ ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ გზას, ღირებულებებს.

თბილისის მოქმედი გერბი, ჰერალდიკური გაგებით, უფრო ემბლემას წარმოადგენს, ვიდრე საგერბო ფარს – ჰერალდიკური წესების გათვალისწინებით დატანილი სიმბოლოებით და მეტწილად მსგავსებას ავლენს, ერთი მხრივ, შუა საუკუნეების ევროპულ საქალაქო ბეჭდებთან და, მეორე მხრივ, ისეთი ახლომდებარე დედაქალაქების ემბლემებთან, როგორებიცაა: ერევანი, ანკარა, თეირანი, ასტანა.

ევროპული საქალაქო ჰერალდიკა საქალაქო ბეჭდებიდან საქალაქო გერბების შექმნაზე XIV საუკუნეში გადადის და საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიციები აქვს. ქართული ჰერალდიკური მემკვიდრეობა შუა საუკუნეებში გაცილებით მეტად ევროპულია, ვიდრე დღეს. საქართველო, თუნდაც ჰერალდიკური მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ისტორიულად და კულტურულად ევროპული ცივილიზაციის ნაწილია, მაგრამ აღ-



ნასაუ-ზაარბრიუკენი



მალშტატ-ბურბახი

წმინდა იოანე



სამი ქალაქის ზაერთიანების შედეგად შედგენილი ზაარბრიუკენის ბერბი

ქალაქ ინსბრუკის ბეჭედი, 1220 წ.



ქალაქ ინსბრუკის გერბი, 1982 წ.

ნიშნული არ არის ასახული თანამედროვე თბილისის სიმბოლიკაში. მიზეზად ასევე შეიძლება დასახელდეს ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი წყვეტა.

დაძმობილებული ქალაქების სიმბოლოების განხილვა გვიჩვენებს, რომ ევროპული გერბების უმეტესობა შედგენილია ყველა ჰერალდიკური პრინციპის დაცვით. მაგალითად, ზაარბრიუკენის გერბი მიღებულია 1909 წლიდან და წარმოადგენს სამი ქალაქის – ზაარბრიუკენის, მალშტატ-ბურბახისა და სანკტ იოანეს გაერთიანებით მიღებულ ჰერალდიკურ ნიშანს.

ლომი წარმოადგენს ნასაუ ზაარბრიუკენის სიმბოლოს, რომლის დედაქალაქი იყო ზაარბრიუკენი. არშიის წარმომავლობა ბოლომდე არ არის დადგენილი. ვარდი წმინდა იოანეს უძველესი სიმბოლოა და ლომთან ერთად გამოიყენებოდა 1462 წლიდან, ერთობლივ ბეჭედზე. მაღაროელთა ხელსაწყოები აღებულია მალშტატ ბურბახის გერბიდან. დიდ გერბს ფარის უკან ხშირად ემატება პრუსიული არწივი, რომელსაც ბრჭყალებით უპყრია სამეფო კვერთხი და სფერო.

ნანტის გერბი XVI საუკუნიდან იღებს სათავეს და გამოყოფს ნანტის საზღვაო, საპორტო მნიშვნელობას, ემყარება ქალაქის ისტორიულ და ეკონომიკურ საფუძვლებს. გემის იალქნებზე გამოსახულია ბრეტანის გერბი, რადგან ნანტი-ბრეტანის მთავარი საპორტო ქალაქი იყო. XVI საუკუნემდე არსებობდა ნანტის ბეჭედი –1350 წლიდან სხვა გემით და მეწამული ყარყუმის გარეშე.

თბილისის სიმბოლო, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ქალაქის გერბად, შედგენილია ლეგენდის საფუძველზე და გადმოსცემს ნადირობის დამასრულებელ სცენას – წყალში ჩავარდნილ ხოხობს ზედ აზის შევარდენი და ფრთით სიმბოლურად კრავს მხედრული ანბანის ასო-ნიშან „თ“-ს გამოსახულებას. მიუხედავად კომპოზიციური სრულყოფილებისა, გერბის აგების ყველა ჰერალდიკური პრინციპი დარღვეულია.

თბილისის სიმბოლიკის აღნიშნული სახე არ შეიძლება დაბრალდეს მხოლოდ საბჭოთა წარსულს, სახელმწიფოებრიობის წყვეტას, რადგან ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სიმბოლიკა კვლავ დაუბრუნდა მანამდე არსებულ მემკვიდრეობას და ისევ მოვიდა თანხვედრაში თანამედროვე, ევროპულ ჰერალდიკურ ნორმებთან. გამონაკლისს წარმოადგენს, სომხეთისა და ახლო მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების სიმბოლოები. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ რუკას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაძმობილებული ქალაქების გერბებთან ერთად გამოსახვისას სურათი კიდევ უფრო მკვეთრდება, თბილისი სრულებით ვარდება აწმყო და წარსული პოლიტიკური, ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტიდან.

ქალაქ ერევნის გერბი, 1996 წ.

თბილისთან დაკმოაბილებული ქალაქების გერბები

- ზაარბრიუკენი, გერმანია, 1975
- ლუბლიანა, სლოვენია, 1977
- ნანტი, საფრანგეთი, 1979
- ინსბრუკი, ავსტრია, 1982
- პალერმო, იტალია, 1987
- ატლანტა, აშშ, 1987
- ბრისტოლი, ბრიტანეთი, 1988
- ბილბაო, ესპანეთი, 1989
- ერევანი, სომხეთი, 1996
- კიევი, უკრაინა, 1999
- ასტანა, ყაზახეთი, 2005
- ვილნიუსი, ლიტვა, 2009
- კიშინიოვი, მოლდოვა, 2011
- კაირო, ეგვიპტე, 2012
- დოჰა, კატარი, 2012
- თეირანი, ირანი, 2015
- მინსკი, ბელარუსი, 2015
- სტამბოლი, თურქეთი, 2016

დავით ჩხეიძე
ჰერალდიკის საბჭოს დიზაინისა და
ანალიტიკის სამსახურის უფროსი

თვითმმართველობა და ჰუმანიტარული კვლევები

ბოლო ხანებში თბილისის თვითმმართველობის მხრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელოვნებათმცოდნეობითი, არქეოლოგიური თუ ისტორიული კვლევების დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს თბილისის ბიუჯეტში პირველად გაჩნდა მუხლი ქალაქის არქეოლოგიური შესწავლისათვის ექსპედიციების დასაფინანსებლად. ეს ინიციატივა წამოიჭრა 2014 წელს, საარჩევნო კამპანიის დროს და მოგვიანებით აისახა კიდეც ქალაქის უპირველეს ფინანსურ დოკუმენტში. 2015-2017 წლებში ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ექსპედიცია. კვლევის ფარგლებში კიდევ უფრო შევისწავლეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელმაც, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, მთლიანად შეცვალა ძველი თბილისის ტოპოგრაფია.

თბილისის ისტორიის მკვლევართათვის IV-V საუკუნეების თბილისის ტოპოგრაფია დიდ კამათს იწვევს. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ვახტანგისეული თბილისი შედარებით პატარა ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე შემდეგ დროინდელი თბილისი. ამ მოსაზრების საპირისპიროდ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვახტანგ გორგასლისა და დაჩის საალმშენებლო საქმიანობა შეეხო მთლიანად კალას, რომელიც აბანოთა უბნიდან, ავანაანთ ხევამდე ვრცელდებოდა. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა მთლიანად ცვლის თბილისის ტოპოგრაფიას და ახალი შტრიხი შეაქვს ქალაქის ისტორიაში.

თბილისის ისტორია ადრეული პერიოდის წერილობითი წყაროების სიუხვით განებივრებული არ არის. ის მასალა, რაც ჩვენს ხელთაა, ქალაქის წარსულის სქემატურ აღდგენაში გვეხმარება და გარკვეულ პოლიტიკურ მოვლენებზე გვიქმნის წარმოდგენას. ქალაქის განაშენიანების, მისი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესწავლისას, ძირითადად, არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მასალას ვეყრდნობით.

ბოლო წლებში თბილისში მიმდინარე რეკონსტრუქციის პროცესმა ბევრი საინტერესო ძეგლი გამოავლინა (აბანოების უბანში ვახტანგ გორგასლის დროინდელი და არაბთა პერიოდის გალავნის ნაშთი; ორმოც მოწამეთა ეკლესიის ფუნდამენტში II-III სს. აბანო, როსტომ მეფის დროინდელი გალავანი, პუშკინის ქუჩაზე ქალაქის მთავარი კედლის ნაწილი, დიღმისკარი და სხვა). ამ აღმოჩენებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი ცოდნა ქალაქის წარსულზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგადად ქალაქის ტოპოგრაფიას ამით დიდი ცვლილება არ განუცდია, კერძოდ, ცნობილი იყო, რომ საკუთრივ „ტფილისს“ კალას განჰყოფდა კედელი და ის წავკისის წყალს მიუყვებოდა მდ. მტკვრიდან ნარიყალამდე. ამდენად, კალას უკიდურესი აღმოსავლეთ გალავნის ხაზი ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო, მაგრამ ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ისეთი დეტალები გამოამზეურა, რომელიც მანამდე მეცნიერთათვის უცნობი იყო.

ჩვენი აზრით, წავკისის წყალი გვიანდელი სახელი უნდა იყოს. ადრე მას „წყალყინის წყალი“ უნდა რქმეოდა. ორმოც მოწამეთა ეკლესიის ტერიტორიაზე ტაძრის აღდგენის დროს, 1998 წელს გამოვლინდა V ს. გალავნის ნაშთი. არქეოლოგიური გათხრები რამდენიმე წელი გრძელდებოდა, პროფესორ მერაბ ძნელაძის ხელმძღვანელობით. გაირკვა, რომ ვახტანგ გორგასლისეული გალავანი ხევიდან ოდნავ მოშორებით იყო ნაგები და უკავშირდებოდა ნარიყალის ციხის გოდოლს. აქვე ვიტყვით, რომ გალავნის ქვედაფენაში აღმოაჩინეს უძველესი აბანოს ნაშთი, რომელიც, სავარაუდოდ, ახ.წ. II-III სს. თარიღდება.

არქეოლოგიურმა კვლევამ კიდევ ერთი სიახლე შესძინა თბილისის ისტორიას. გაირკვა, რომ მოგვიანებით, სავარაუდოდ, VIII საუკუნეში გადააკეთეს ქალაქის ეს მონაკვეთი. არაბთა პერიოდში გაგანიერდა გალავანი და სიგანეში 6 მეტრამდე გაიზარდა (მანამდე არსებულ 2.4 მეტრზე დაახლოებით 3.6 მეტრის მიმატების ხარჯზე). ამ დროს ჯერ კიდევ წავკისის ხევის პირას არ იყო აგებული გალავნის ის ხაზი, რომელიც მდ. მტკვრიდან ადიოდა ზემოთ, ნარიყალის ციხის ქვედა ტერასამდე, დაახლოებით დღევანდელი ბოტანიკური ბაღის შესასვლელამდე, სადაც გვიან ხანებში განჯის კარი მდებარეობდა.

ჩვენი აზრით (ამას დამატებითი კვლევა-ძიება სჭირდება), XI საუკუნეში მდინარე მტკვრიდან გალავანი უშუალოდ ნარიყალას უკავშირდებოდა. დაახლოებით ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან უნდა მდგარიყო „მატიანე ქართლისაში“ მოხსენიებული „ორნივე კოშკნი წყალყინისანი“ (ხომ არ ერქვა დღევანდელ მდ. წავკისის წყალს XI საუკუნისათვის წყალყინის წყალი?). თუ კარგად დავაკვირდებით „მატიანე ქართლისას“ მიერ წარმოდგენილი ქალაქის ტოპოგრაფიას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბაგრატ IV ჯერ იღებს დედაციხეს-დარიჯელს ანუ დღევანდელ ნარიყალას, შემდეგ წავკისის წყალზე ანუ წყალყინის წყალზე არსებულ ორ კოშკს და ხევს გაღმა აღმართულ თაბორის ციხეს. თუ ეს ვარაუდი მართალია, მაშინ პასუხი გასაცემია ორ კითხვაზე – 1. რას იცავდა „ორნივე კოშკნი წყალყინისანი“ და 2. როდის აიგო გალავანი წავკისის წყალზე და შემოიზღუდა განჯის კარი?

I. წავკისის წყლის ხევში გზები შედიოდა როგორც აღმოსავლეთიდან, ვგულისხმობდით მთავარ მაგისტრალს – განძა-თბილისი, ასევე თბილისის პირა სოფლებიდან – შინდისი, წავკისი, ტაბახმელა. სწორედ ამ გზების ერთგვარი ჩამკეტი ნარიყალის ციხის ციტადელიდან ქვემო ტერასაზე მდ. წავკისის პატარა

კანიონებთან უნდა ყოფილიყო „ორნივე კოშკნი წყალყინისანი“. მოგვიანებით, გადაკეთების შემდეგ, ამ ადგილას ქალაქის ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე – განძის კარი შეიქმნა.

II. XII-XIII საუკუნის დასაწყისში, როგორც ჩანს, ქალაქის ეს ნაწილი მნიშვნელოვნად გადაკეთდა. შეუძლებელია, დავითისა და თამარის ეპოქაში თბილისის ფორტიფიკაციაში არ განხორციელებულიყო ცვლილებები. ჩვენი აზრით, არაბთა დროინდელი კედლიდან ოდნავ მოშორებით (დაახ. 10-15 მ.) გავიდა ახალი გალავანი, რომელიც მდ. წავკისის წყლის კლდოვან ნაწილს გაუყვა დაახლოებით დღევანდელი ბოტანიკური ბაღის შესასვლელამდე... სწორედ ამ დროს უნდა მიეღო თბილისის ამ მონაკვეთს ის სახე, როგორიც იყო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან საჭირო გახდა წავკისის ხევს გაყოლებული გალავნის დაკავშირება ნარიყალის ციხესთან, რომელიც სოლოლაკის ქედზე იყო აღმართული. ამან განაპირობა დღევანდელი ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან, ნარიყალის ძირში ქალაქის ახალი კარიბჭის შექმნა, რომელიც ცალკე პატარა საფორტიფიკაციო სისტემას შეადგენდა, თავისი კოშკებით, გალავნის მძლავრი სისტემით.



მიუხედავად ამ სიახლეებისა, მაინც რჩებოდა პასუხი გასაცემი მთავარ კითხვაზე, სადამდე ვრცელდებოდა თბილისი მტკვრის აყოლებაზე.

2013 წლის ივლისში თუმანიანის ქ. №1-3 სახლისათვის განკუთვნილ ქვაბულში შემთხვევით აღმოჩნდა ნანგრევების ნაშთები (სახლის მშენებლობისას გაშიშვლდა რამდენიმე მეტრის ქვის წყობა. ამ ტერიტორიის მოხილვისას შემთხვევით დავაფიქსირეთ ეს ნაშთი. მშენებლები აპირებდნენ მუშაობის გაგრძელებას, თუმცა მე არა მარტო გავაჩერე მშენებლობა, არამედ სასწრაფო წესით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები.

კვლევა აწარმოა პროფესორმა მერაბ ძნელაძემ. (ჩვენ მთლიანად მის მიერ წარმოდგენილ აღწერილობით მასალას ვეყრდნობით). სექტემბერ-ოქტომბერში წარმოებდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის დროსაც ჭრილებში შედარებით გვიანდელი ნაგებობების ნაშთების შემდეგ IV ქვედა ფენაში აღმოჩნდა თბილისის ადრეული საფორტიფიკაციო სისტემის გალავნისა და კოშკის ნაშთები.

გალავანი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა დამხრობილი. სულ გაითხარა 18 მ. სიგრძისა და 2,4 მ. სიგანის გალავნის ნაშთი. გალავნის ნაშთისა და კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილი ღია ჩალისფრად გამომწვარი ყელწიბოიანი ქილები, დოქები, ხელადები და რუხად გამომწვარი ქილები, ქოთნები, ბრტყელი, მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი კრამიტები ძველი თბილისის იქ გათხრილ საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილს ა. წ. IV-VI სს-ით ათარიღებს.

კოშკი და გალავნის ჩრდილო მონაკვეთი თუმანიანის ქუჩის ქვეშ გადის და გზის მეორე მხარეს, ამორტიზებული სახლების მიმართულებით, მდ. მტკვრისაკენ ეშვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როსტომ მეფისეული საფორტიფიკაციო-საგალავნო სისტემა დასავლეთისაკენ რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებითაა გამართული. აქვე აღსანიშნავია, რომ შეინიშნებოდა დასავლეთისკენ დედაქანის მკვეთრი დახრა, რაც იმის მაუწყებელია, რომ დახასიათებული გალავნის დასავლეთით (დღევ. ლ. ასათიანის ქუჩა) ამჟამად შეუმჩნეველი, მაგრამ ადრე არსებული ხევი ჩამოუყვებოდა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან სასიმაგრო სისტემის მშენებლობისას გაითვალისწინეს გალავნის წინ ღრმა ხევის არსებობაც. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ვახტანგ გორგასლის დროინდელ გალავანთან, რომელიც ეშვებოდა ნარიყალის ციხის სიახლოვიდან მტკვრამდე, დაახლოებით დღევანდელი ქარვასლის სიახლოვეს. ქალაქის ურბანიზაციამ VI საუკუნის მიწურულს აუცილებელი გახადა თბილისის ზრდა-განვითარება დასავლეთის მიმართულებით. ის სახე, რაც თბილისს ჰქონდა შუასაუკუნეებში, სწორედ ამ დროს უნდა მიეღო.

ჯაბა სამუშია
პროფესორი, ისტორიის დოქტორი,
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თბილისის სიმბოლიკის შესახებ

მნიშვნელოვანია, რომ დღეს ამ ფორმატში ვხვდებით და სიმბოლოებთან დაკავშირებით ვსაუბრობთ. მართლაც რომ, დროული და საშური საქმეა და ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს ამ საკითხში გარკვეული ტიპის ხარვეზების არსებობაზე.

განსხვავებით ევროპული სახელმწიფოებისგან, სიმბოლოების არსებობის და გამოყენების კუთხით, ნაკლები გამოცდილება გვაქვს.

მე, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე, ბოლო პერიოდში ინტენსიურად ვადევნებ თვალს ჰერალდიკის საბჭოს ვებგვერდს და მინდა, დადებითად შევაფასო ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს საქმიანობა, ამასთან, გულწრფელად მინდა, ვაღიარო, რომ საკმაოდ რთული და უმნიშვნელოვანესი პროცესია მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენა, შექმნა და მათი ჰერალდიკურ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუნიციპალურ სახელებსა და სიმბოლოებთან დაკავშირებით აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს ახალი ორგანული კანონი თვითმმართველობის შესახებ, რომელმაც საქართველოს მთავრობა და მუნიციპალიტეტები დაავალდებულა, უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენისა და გამოყენების წესების მიღება.

სახელდებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი. ამავე წლის 16 ივნისს, ამ წესზე დაყრდნობით, თბილისის საკრებულომ N14-59 დადგენილებით დაამტკიცა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, კონკრეტულად თბილისის მუნიციპალიტეტისათვის. რასაც ვერ ვიტყვით სიმბოლოებთან დაკავშირებით. აქ ერთგვარი ჩამორჩენა გვაქვს. მას შემდეგ,რაც საქართველოს მთავრობა პრინციპების დონეზე განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენა-გამოყენების წესებს, დაუყოვნებლივ ვიმსჯელებთ იმ ნორმატიულ აქტებზე, რომლის მიღებაც ჩვენი ვალდებულებაა.

მუხლი 165. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი სხვა ღონისძიებები:

1. საქართველოს მთავრობამ

ა) 2014 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცება;

ბ) 2014 წლის 1 ივნისამდე საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების დადგენისა და გამოყენების წესების განსაზღვრა;

მუხლი 24. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება მოსილებებს განეკუთვნება:

ა. გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების) დადგენა;

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის სიმბოლოები

1. მუნიციპალიტეტს აქვს გერბი და დროშა. მას შეიძლება, ჰქონდეს სხვა სიმბოლოებიც.

2. მუნიციპალიტეტის გერბს, დროშას და სხვა სიმბოლოებს, მათი გამოსახვის ფორმებსა და აღწერილობებს საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და მისი თანხმობით ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო. სავალდებულოა მუნიციპალიტეტის სიმბოლოების სახელმწიფო რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მუნიციპალიტეტის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

ყოველგვარი მორიდების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით გარკვეული ტიპის ხარვეზები არსებობს.

გარკვეული პერიოდის წინ შეხვედრა მქონდა ჰერალდიკის საბჭოს წარმომადგენლებთან (ბატონ მამუკა გონგაძესა და ბატონ დავით ჩხეიძესთან). ჩვენ ერთხმად შევთანხმდით, რომ დღეს არსებული თბილისის სიმბოლოები ვერ პასუხობს ჰერალდიკის პრინციპებს და მათი დამუშავება უალტერნატივო პროცესს წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნე, თბილისს აქვს საკუთარი დროშა, გერბი, ჰიმნი და სიმბოლური გასაღები, ასევე – სპეციალური წოდებები, რაც აქ განსახილველ საკითხებს განეკუთვნება.

დროშა:

ქალაქ თბილისის დროშა სწორკუთხა ფორმისაა, თეთრ ფერზე მკვეთრი, ურთიერთგადამკვეთი, ფართო, მუქი ცისფერი და შედარებით ვიწრო ოქროსფერი ზოლებით.

გადაკვეთის ადგილი აქცენტირებულია ქალაქ თბილისის გერბის გრაფიკული გამოსახულებით მუქ წითელ ფონზე, რომლის ირგვლივ შვიდი ოქროსფერი შვიდქიმიანი ვარსკვლავია განლაგებული. ზოლთა ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება სიმბოლურია.

თბილისის დროშა ოთხფეროვანია: თეთრი, მუქი ცისფერი, ოქროსფერი და მუქი წითელი, ხოლო შესრულებისთვის იგულისხმება სამი ფერი თეთრ ფონზე.

გერბი:

ქალაქ თბილისის გერბი, როგორც ქართული ფარი, მრგვალი ფორმის, დამწერლობით შექმნილი კომპოზიციაა. ასომთავრული „თან“ ასონიშნის გრაფირებით აგებული ხოხბისა და მიმინოს განზოგადებული მხატვრული ფორმა და ასოთა თანმიმდევრობა ერთ მთლიან სიმბოლოდ აღიქმება და გამოხატავს დედაქალაქის ლეგენდის არსს. გერბის ზემო ნახევარსფეროს კიდეზე განლაგებულია შვიდი შვიდქიმიანი ვარსკვლავი. ძირითად გამოსახულებას ეხვევა მუხის რტო – მარადიულობისა და ძლიერების სიმბოლო, რომლის ძირშიც იქმნება ჯვრისებური ტიხარი, სადაც ასომთავრულად (მრგვლოვანი) და ნუსხურად ჩაწერილია „თბილისი“.

გერბის ღერძულ დაბოლოებას წარმოადგენს წყლის თემა.

თბილისის გერბი დედაქალაქის ლეგენდაზე აღმოცენებული ჰერალდიკური ნიშანია.

გასაღები:

თბილისის სიმბოლური გასაღები, როგორც გასაღების ზოგადად მიღებული ფორმა შედგება სამი ნაწილისაგან: გვირგვინი, ღერო და გასაღების ენა. გვირგვინი წარმოადგენს ორი მშვილდისებური, ტრაპეციული კვეთის შეპირაპირებულ ფორმას, რომლის ზემო ნაწილში, ორივე მხარეს, ამოკვეთილია წარწერა „თბილისი“. ქვემო ნაწილში კი, ორივე მხარეს, დაძერწილია მუხის რტო. მშვილდისებური ფორმების შეერთებისას პლასტიკური ნაკეცები ორივე მხარეს ქმნის ისრის გამოსახულებას. გვირგვინის ცენტრალური კომპოზიცია გამოხატავს დედაქალაქის ლეგენდის თემას, ხოხბისა და მიმინოს რელიეფური გამოსახულებით. მთლიანად გვირგვინი ეყრდნობა ღეროს, რომლის თავი ბროწეულის (სიმრავლის სიმბოლო) ფორმისაა. გასაღების ღერო „თბილისური აივნის“ რიკულს მოგვაგონებს და მთავრდება სიმეტრიულად შეწყვილებული ფრთისებრი ენით.

ჰიმნი:

თბილისის ჰიმნია რევაზ ლაღიძის „თბილისო“.

მე აქ არ ვისაუბრებ თბილისის სიმბოლოების დადებით თუ უარყოფით მხარეებზე. ეს თქვენთვის, სპეციალისტებისთვის მომინდვია. ვიტყვი მხოლოდ, რომ თბილისის დროშა და გერბი თბილისის საკრებულომ დაამტკიცა 2005 წლის 8 ივნისს, 15-1 გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩვენ დავინტერესდით, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით რა ტიპის მსჯელობა გაიმართა... იყო თუ არა კონსულტაციები ფართო ფორმატში სპეციალისტებთან... საზოგადოებასთან... როგორ შეარჩიეს აღნიშნული დიზაინი... გამოიყენეს თუ არა კონკურსის წესი... ოფიციალურ დოკუმენტებში ამ კითხვებზე პასუხი ვერ მოვიძიეთ, გარდა თვითონ იმ დადგენილებისა, რომლითაც ზემოთ აღნიშნული სიმბოლოები მიიღეს.

და დასასრულს, მინდა, სრული მზადყოფნა გამოვხატო და სრულყოფილად ჩავერთო ამ ფრიად მნიშვნელოვან და საშურ საქმეში, რათა დროულად აღმოვფხვრათ ყველა ის ხარვეზი, რომელიც ჩვენს დედაქალაქს ამ მიმართებით აქვს. ამასთან სურვილი მაქვს, სპეციალისტების მიერ გამოთქმული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება გავაცნო კოლეგებს, მსჯელობის ეპიცენტრი გადავიტანო თბილისის საკრებულოში, რათა მოვიპოვო ჩემი კოლეგების სრული მხარდაჭერა, რის შემდეგაც საკრებულო თბილისის ახალ სიმბოლოებს დაამტკიცებს.

ეს იქნება პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს ჰერალდიკის კუთხით მსოფლიოში დამკვიდრებული კულტურის გაზიარებას და პრაქტიკაში განხორციელებას.

ლია ჯახველაძე
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარე

თბილისთან დაძმობილებული ქალაქები





ინსბრუკი, ავსტრია





ზაარბრიუკენი, გერმანია





ნანტი, საფრანგეთი



ბილბაო, ესპანეთი



ვილნიუსი, ლიტვა





ლუბლიანა, სლოვენია

პალერმო, იტალია





ოდესა, უკრაინა



კიშინიოვი, მოლდოვა





კიევი, უკრაინა

მინსკი, ბელარუსი



ბრისტოლი, დიდი ბრიტანეთი

ანკარა, თურქეთი

ასტანა, ყაზახეთი

ერევანი, სომხეთი

სტამბოლი, თურქეთი

თეირანი, ირანი

ზოგადი ჰერალდიკა





გერბის შემადგენელი ნაწილებია: 1. ფარი; 2. გვირგვინი, ტიტულარული გვირგვინი, ქუდი; 3. მუზარადი; 4. მუზარადის მორთულობა; 5. ბურელეტი; 6. ლამბრეკენი; 7. ფარის მცველები; 8. მანტია; 9. დევიზი; 10. სადევიზე ბაფთა; 11. კომპორტერი.

გერბის ბლაზონი მიღებულია შემდეგი რიგითობით: ფარი, გერბის ზედა მხარე (ნაწილი): მუზარადი (მისი დახასიათება: ახალია თუ ძველი, აქვს თუ არ ტიტულარული გვირგვინი და ა.შ.); ლამბრეკენი (ფერის აღნიშვნით); მუზარადის მორთულობა; ფარის მცველები, ან წარმომდგენები; კომპორტერი; საპატიო ნიშნები, ორდენთა ნიშნები (ფარის გარეთ მოთავსებულნი); მანტია; დევიზი.

საქალაქო გერბი

1. გვირგვინი.
2. ფარი.
3. შესამკობელი.
4. სადევიზე ბაფთა და დევიზი.



მინანქრები (ემალი)

ოქრო | ვერცხლი | მეწამული | ლაქვარდი | ზურმუხტი | სევადი | პორფირი

საქალაქო სიმბოლიკა და ატრიბუტიკა



გერბი



დროშა



ბეჭედი

გასაღები



ქალაქის თავის, მერის ყელსაბამი

დღის წესრიგი

- კონფერენციის თემა: „თბილისი და თანამედროვე საქალაქო ჰერალდიკა“.
- თარიღი 12-14 მაისი; 2017 წ..
- ადგილი ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა 15-ა, სასტუმრო „წყალტუბო პლაზა“.

12 მაისი

- 16:30 -16:45 მონაწილეთა რეგისტრაცია.
- 16:45-17:00 კონფერენციის გახსნა **მამუკა წურწუმია.**
- 17:00-17:20 **მამუკა გონგაძე** – მიმოხილვა.
- 17:20-17:40 **დავით კლდიაშვილი** „ზოგადი ჰერალდიკა“.
- 17:40-18:10 **მირიან კიკნაძე** „ქ. თბილისის მოქმედი სიმბოლიკის ანალიზი“.

13 მაისი

- 10:30-11:00 **გიორგი ლობჟანიძე** „თბილისი IV-XVIII სს. ევროპული რუკების მიხედვით.“
- 11:00-11:30 **ნიკო ჯავახიშვილი** „საქართველოს დედაქალაქის დასახელება ქართული სამართლის ძეგლებზე“.
- 11:30-12:00 **ირაკლი ფაღავა** „ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს. თბილისის სპილენძის მონეტებზე”.

12:15 -13:00 შესვენება.

- 13:00-13:30 **ზაზა კიკნაძე** „თბილისის ჰერალდიკური სიმბოლოების ისტორია“.
- 13:30-14:00 **თორნიკე ასათიანი** „ლეგენდები თბილისის დაარსების შესახებ“.
- 14:00-14:30 **მამუკა გონგაძე** „დედაქალაქების ჰერალდიკური სიმბოლოები და მათი გამოსახვა“.

15:00-16:00 შესვენება.

- 16:00-16:30 **დავით ჩხეიძე** „თბილისთან დაძმობილებული ქალაქების სიმბოლოები.
- 16:30-17:00 **ჯაბა სამუშია** „თვითმმართველობა და ჰუმანიტარული კვლევები“.
- 17:00 **ლია ჯახველაძე** „თბილისის სიმბოლიკის შესახებ“.
- 17:15 -18:00 კონფერენციის შეჯამება და დახურვა **მამუკა გონგაძე, მამუკა წურწუმია.**

მონაწილეები

1. **მამუკა გონგაძე** – ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

2. **მამუკა წურწუმია** – ისტორიის დოქტორი; ჰერალდიკის კომისიის თავმჯდომარე.

3. **ნიკოლოზ ჯავახიშვილი** – ისტორიკოსი, პროფესორი.

4. **თემურ ჯოჯუა** – ისტორიის დოქტორი, პროფესორი.

5. **ირაკლი ფაღავა** – ისტორიის დოქტორი, ნუმიზმატიკის სპეციალისტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი.

6. **გიორგი ლობჟანიძე** – ჰერალდიკის სპეციალისტი.

7. **დავით კლდიაშვილი** – ჰერალდიკის სპეციალისტი.

8. **ზაქარია კიკნაძე** – მხატვარი, ჰერალდიკის სპეციალისტი.

9. **მირიან კიკნაძე** – მხატვარი, ჰერალდიკის სპეციალისტი.

10. **თორნიკე ასათიანი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰერალდიკის სპეციალისტი.

11. **დავით ჩხეიძე** – ჰერალდიკის საბჭოს დიზაინისა და ანალიტიკის სამსახურის უფროსი.

12. **ირაკლი ჭინჭარაული** – თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ღონისძიებათა უზრუნველყოფის და დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

13. **ლია ჯახველაძე** – თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე.

13. **ჯაბა სამუშია** – პროფესორი, ისტორიის დოქტორი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

14. **ლევან დარახველიძე** – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე.

15. **ალექსანდრე რუხაძე** – თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
www.heraldika.ge
სტამბა პრინტერ.ჯი